პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო
КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР
გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 173 (14777)
25 ივლისი შაბათი
1970
ფასი 2 კაპ.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ხაზს უსვამს, რომ სოფლის მეურნეობის დარგში დიდი ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს პარტიის, ყველა მისი ორგანიზაციის დიდ მეცადინეობას, მათი პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის დონის ამაღლებას, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის
პლენუმის დადგენილებიდან.

სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარება რესპუბლიკის ყველა მშრომელთა საქმეა

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

ამხანაგებო!

ამას წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXIV ყრილობის მოწვევის შესახებ, რომელიც შეაჯამებს უკანასკნელი წლების მანძილზე გაწეული მუშაობის შედეგებს და დასახავს მომავლის ამოცანებს. ყრილობის მუშაობაში, უეჭველია, მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხები, რომლებსაც მიეძღვნა მიმდინარე თვის დამდეგს გამართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა მოისმინა და განიხილა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „პარტიის მორიგი ამოცანები სოფლის მეურნეობის დარგში“ და მიიღო დადგენილება, რომელშიც დასახულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაჩქარებული განვითარების პროგრამა.

სოფლის მეურნეობის საკითხები მუდამ დგას ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრში. სკკპ XXIII ყრილობამ, ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა განსაზღვრეს ქიმიზაციის, მიწების მელიორაციისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაციის კურსი.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება პარტიას მუდამ მიაჩნდა და მიაჩნია ჩვენს ერთ-ერთ მთავარ სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა შეაჯამა ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგები, დასახა მარცვლეულის, ტექნიკური კულტურების, ხორცის, ბოსტნეულის, ხილისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდების, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფის კონკრეტული ამოცანები, განსაზღვრეს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა და რეზერვების უკეთ გამოყენება.

ახლა ნება მიბოძეთ მოკლედ შევეხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების ზოგიერთ შედეგს.

ასრულებენ რა პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, საქართველოს კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გასწიეს, რომ გაედიდებინათ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე რესპუბლიკამ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარა 156 ათასი ტონა ყურძენი, 81 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, 66 ათასი ტონა ხილი, 80 ათასი ტონა მარცვლეული, 26 ათასი ტონა ციტრუსები, 80 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი, 38 ათასი ტონა ხორცი, 28 ათასი ტონა რძე, 14 მილიონი ცალი კვერცხი და სოფლის მეურნეობის ბევრი სხვა პროდუქტი.

სამშობლო განსაკუთრებით გაახარეს ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიეებმა. მათ ვადამდე, უკვე ივნისის დამლევისათვის შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის ხუთწლიანი გეგმა. ახლა უკვე ჩაბარებულია 1 მილიონ 80 ათასი ტონა ნედლეული — 40 ათასი ტონით მეტი, ვიდრე ხუთწლიანი გეგმით იყო გათვალისწინებული. წელს კი მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 100 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ესე იგი იმდენი, რამდენსაც რამდენიმე წლის წინათ მთელი სეზონის განმავლობაში კრეფდნენ.

ჩაის ფოთლის დამზადების სახელმწიფო გეგმას მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებს არა მარტო მეჩაიეობის ყველა რაიონი, არამედ აგრეთვე მეჩაიეობის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დიდი უმრავლესობა. ჩაის პლანტაციებში წარმატებით მუშაობენ ჩვენი მეცნიერებისა და კონსტრუქტორების მიერ შექმნილი მანქანები და მექანიზმები, მათ შორის ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“. მიმდინარე სეზონში ამ მანქანებით მოკრეფენ 20 ათას ტონამდე ხარისხოვან ჩაის ფოთოლს, ხოლო ახალი ხუთწლედის დამლევისათვის — 40-50 ათას ტონას.

მეჩაიეებთან ერთად ბეჯითად შრომობენ ჩაის მრეწველობის მუშაკები, რომლებიც უზრუნველყოფენ ნედლეულის შეუფერხებელ მიღებასა და გადამუშავებას და მაღალხარისხოვანი ჩაის წარმოებას. მათ აგრეთვე ვადამდე შეასრულეს ხუთწლიანი გეგმა — გამოუშვეს 260 ათასი ტონა ჩაი — 6 ათასი ტონით მეტი, ვიდრე დავალებით იყო გათვალისწინებული.

რესპუბლიკამ შეასრულა აგრეთვე სახელმწიფოსათვის პირუტყვის, ფრინველისა და მარცვლეულის მიყიდვის ხუთწლედი.

ჩვენს სოფლის მეურნეობაში საქმის მდგომარეობა, სოფლის მშრომელთა ნაკისრი ვალდებულებანი საფუძველს გვაძლევენ ვივარაუდოთ, რომ წლის ბოლომდე მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდება აგრეთვე რძის, კვერცხის, მატყლის, შაქრის ჭარხლის, ხილის, ციტრუსების, ყურძნისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების დამზადების ხუთწლედის დავალებანი.

საზოგადოებრივი წარმოების ზრდამ ხელი შეუწყო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცებას, სოფლის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას. უფრო სრულად კმაყოფილდება მათი სულიერი მოთხოვნილებანი, გაუმჯობესდა ცხოვრების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე კოლმეურნეობების საშუალოწლიური საერთო შემოსავალი წინა სამ წელთან შედარებით 10 პროცენტით გაიზარდა.

გადიდდა საბჭოთა მეურნეობების საერთო პროდუქცია. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ბევრად გაიზარდა საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა საშუალოთვიური გამომუშავება, კიდევ უფრო გადიდდა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება.

ყველა ეს წარმატება ახარებს რესპუბლიკის მშრომელებს — ჩვენს კოლმეურნე გლეხობას, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ქალაქის მშრომელებს.

მაგრამ როგორც სწორად აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე, სოფლის მეურნეობაში საქმის მდგომარეობის შეფასებას მარტო წარსულთან შედარების პოზიციებიდან, უკვე მიღწეულისა და მოპოვებულის თვალსაზრისით როდი უნდა მივუდგეთ. მთავარი ყურადღება უნდა მივაპყროთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდის ბაზაზე, ვიბრძოლოთ ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების განმტკიცებისა და მათი რენტაბელობის ამაღლებისათვის, იმისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებანი კვების პროდუქტებზე, ხოლო მრეწველობისა — სოფლის მეურნეობის ნედლეულზე.

როცა საქმის მდგომარეობას ასეთი პოზიციებიდან ვუდგებით, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგებს ასეთი თვალსაზრისით განვიხილავთ, უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ამ დარგში გვაქვს გარკვეული სიძნელეები და გადაუწყვეტელი საკითხები, რომ ჯერ კიდევ ბევრია ნაკლი და გამოუყენებელი რეზერვი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ხაზგასმული იყო, რომ საჭიროა კიდევ უფრო გავადიდოთ ჩაის, ეთერზეთოვანი ნედლეულის, ხილის, ყურძნის, თამბაქოს, ბოსტნეულის, კარტოფილისა და სხვა კულტურების წარმოება და დამზადება.

როცა ჩვენი მეჩაიეობის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ამოცანებზე ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩაის ფოთლის წარმოება უნდა გაფართოვდეს ერთი მხრივ ჩაის პლანტაციების ფართობების გადიდების გზით, რისთვისაც უნდა ავითვისოთ ახალი მიწები, კერძოდ, კოლხეთის დაბლობი, ხოლო მეორე მხრივ — ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის გადიდების გზით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დიდია ისეთი ტრადიციული დარგების ხვედრითი წონა, როგორიც მევენახეობა და მებაღეობაა. მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა ღონისძიებანი საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისათვის, ეს დარგები განსაკუთრებით ინტენსიურად ვითარდება. ამ წლების მანძილზე გაშენდა დაახლოებით 100 ათასი ჰექტარი ახალი ვენახები და ხეხილის ბაღები. ამან საშუალება მოგვცა მნიშვნელოვნად გაგვეზარდა მაღალხარისხოვანი ყურძნისა და ხილის წარმოება და დამზადება. მიმდინარე ხუთწლედის ოთხ წელიწადში საშუალოდ წელიწადში ვამზადებდით 270 ათას ტონა ყურძენსა და 135 ათას ტონა ხილს, მაშინ როცა წინა ხუთწლედის ამავე პერიოდში საშუალოდ ყოველწლიურად ვამზადებდით 152 ათას ტონა ყურძენსა და 80 ათას ტონა ხილს.

საჭიროა კვლავაც ვაფართოებდეთ საზოგადოებრივ ვენახებსა და ბაღებს, ამასთან უწინარეს ყოვლისა ვნერგავდეთ ძვირფასი ჯიშების ვაზსა და ხეხილს, ვსპობდეთ ნარგავების სიმეჩხრეს, განუწყვეტლივ ვზრდიდეთ ამ კულტურების მოსავლიანობას.

წელს რესპუბლიკამ უნდა დაამზადოს 840 ათასი ტონა ყურძენი და 153 ათასი ტონა ხილი. ეს ავალებს დამამზადებელ ორგანოებს, აგრეთვე გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკებს უზრუნველყონ ამ პროდუქტების დროულად მიღება, გადამუშავება და რეალიზაცია.

იმასთან დაკავშირებით, რომ ახალ ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზრდება ყურძნის წარმოება და დამზადება, დიდი მუშაობა უნდა გასწიონ სამტრესტის მუშაკებმა, რომლებმაც უნდა გაზარდონ მთელი ნედლეულის მიღებისა და გადამუშავების სიმძლავრენი.

ჩვენში ნელი ტემპებით ვითარდება მეციტრუსეობა. მართალია, რესპუბლიკა ყოველწლიურად ასრულებს ციტრუსების დამზადების გეგმას, მაგრამ ამას ვერ დავჯერდებით, რადგან ყველა შესაძლებლობა გვაქვს მნიშვნელოვნად გავზარდოთ მათი წარმოება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილებანი მეციტრუსეობის შემდგომი განვითარებისათვის. მიმდინარე წლის დამდეგს მოვისმინეთ აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეთა ანგარიშები. უნდა ითქვას, რომ აჭარის მეციტრუსეები კარგად მუშაობენ, სისტემატურად ასრულებენ ახალი პლანტაციების გაშენების, ციტრუსების წარმოებისა და დამზადების გეგმებს. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით აფხაზეთის მეციტრუსეებზე, რომლებიც წლითიწლობით ფუშავენ საზოგადოებრივ მეურნეობაში ციტრუსების პლანტაციების გაშენების გეგმებს, არღვევენ ამ კულტურების მოვლა-მოყვანის აგროტექნიკურ წესებს.

პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველყონ ციტრუსების ნარგავების მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და ციტრუსების წარმოებისა და დამზადების გადიდება.

წელს ციტრუსების მოსავალს კარგი პირი უჩანს. მოსალოდნელია დაახლოებით 50-60 ათასი ტონა ციტრუსები. ეს ავალებს „საქკონსერვხილბოსტნის“ სახელმწიფო კომიტეტს სანიმუშოდ მოემზადოს სეზონისათვის და უზრუნველყოს ციტრუსების მთელი მოსავლის შეუფერხებელი დამზადება და ტრანსპორტირება.

დიდი ამოცანები დგას ჩვენი რესპუბლიკის წინაშე ეთერზეთოვანთა ნედლეულის წარმოების დარგში. მაგრამ, იმის შედეგად, რომ ზოგიერთი მუშაკი დაუდევრად ეკიდება სათბურების მეურნეობის ორგანიზაციას, ირღვევა აგროტექნიკის წესები, სათანადო დონეზე არ წარმოებს ბრძოლა მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ. ჩვენში სისტემატურად ვერ სრულდება ეთერზეთოვანთა ნედლეულის წარმოებისა და დამზადების გეგმები. ამ საქმეში განსაკუთრებით ჩამორჩებიან აბაშის, ცხაკაიას, გულრიფშისა და სხვა რაიონები.

მეურნეობებმა, რომლებსაც ეს კულტურები მოჰყავთ, კვების მრეწველობის სამინისტრომ ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა უახლოეს დროში გადაჭრით აამაღლონ მეურნეობის ეს დარგი. ადგილობრივმა, პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ისე უნდა წარმართონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, ეთერზეთოვანთა ქარხანა-საბჭოთა მეურნეობების მუშაკების მუშაობა, რომ უზრუნველყონ ეთერზეთოვანთა ნედლეულის წარმოებისა და დამზადების და ეთეროვანი ზეთების გამომუშავების გეგმების უთუოდ შესრულება.

ცნობილია, რომ სურნელოვანი ჯიშების თამბაქო, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში, უმთავრესად აფხაზეთში მოჰყავთ, სჭირდება ჩვენი ქვეყნის მთელ თამბაქოს მრეწველობას. ბოლო ოთხ წელიწადში კი თამბაქოს ნედლეულის საშუალოწლიურმა წარმოებამ შეადგინა 15 ათასი ტონა, მაშინ როცა ყველა შესაძლებლობა გვაქვს წელიწადში ვაწარმოოთ სულ ცოტა 17-18 ათასი ტონა თამბაქო. ასეთი მდგომარეობა ცხადყოფს, რომ მეთამბაქოობის ზოგიერთი რაიონის, უწინარეს ყოვლისა აფხაზეთის პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა შეასუსტეს ყურადღება ამ ძვირფასი ტექნიკური კულტურის წარმოებისადმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დიდი ყურადღება დაუთმო ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების შემდგომი გადიდების საკითხებს. ბოლო წლებში ჩვენში ბევრად გაიზარდა ამ პროდუქტების წარმოება და დამზადება. თუ 10 წლის წინათ ვამზადებდით 40-45 ათას ტონა ბოსტნეულსა და 10-12 ათას ტონა კარტოფილს, ახლა 3-4-ჯერ მეტს ვამზადებთ. მომავალშიც უნდა ვახორციელებდეთ საჭირო ღონისძიებებს კვების ამ პროდუქტების, განსაკუთრებით ბოსტნეულის წარმოების კიდევ უფრო გადიდებისათვის. ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან წალკის, ახალქალაქის, ახალციხის, დმანისისა და სხვა რაიონების მეკარტოფილეებმა. უკეთ უნდა იმუშაონ აჭარის ასსრ მეურნეობებმა, რომლებიც ჩამორჩებიან კარტოფილის წარმოებასა და დამზადებაში.

წელს ჩვენში უნდა დამზადდეს სულ ცოტა 140 ათასი ტონა ბოსტნეული და 70 ათასი ტონა კარტოფილი. ესეც ავალებს ჩვენს დამამზადებლებს მოაწყონ ამ პროდუქტების დროულად მიღება, შენახვა, გადამუშავება და რეალიზაცია.

ჩვენ მთელი წლის მანძილზე უნდა უზრუნველვყოფდეთ მოსახლეობას ბოსტნეულით. ამისათვის საჭიროა დავაჩქაროთ კვალსათბურებისა და სათბურების მეურნეობის მშენებლობა, უფრო სწრაფად გადავცეთ საექსპლოატაციოდ მშენებარე სიმძლავრენი, უწინარეს ყოვლისა ახალი სათბურების კომბინატები. ამასთან დაკავშირებით ყოველნაირად უნდა დავუჭიროთ მხარი გორის რაიონის მშრომელთა ინიციატივას, რომლებიც აშენებენ მძლავრ საკოლმეურნეობათაშორისო სასათბურო მეურნეობას ახალი ბოსტნეულის მოსაყვანად. ბოსტნეულით თბილისის მოსახლეობის მომარაგებას გააუმჯობესებს 20-25 ჰექტარ ფართობზე აშენებული ახალი სასათბურო მეურნეობა, რომლის მშენებლობას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაიწყებს მომავალ ხუთწლედში.

ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე კვლავ ხაზგასმით აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარი პრობლემა იყო და კვლავაც არის მარცვლეულის წარმოების გადიდება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ მდგომარეობა ჩვენი ქვეყნის მარცვლეულის მეურნეობაში უკეთესისაკენ შეიცვალა. 1966-1969 წლებში მარცვლეულის საშუალოწლიური საერთო მოსავალი 162 მილიონ ტონას აღემატებოდა, რაც 32 მილიონი ტონით მეტია, ვიდრე წინა ხუთწლედში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენმა რესპუბლიკამ შეასრულა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა. გრძელდება სახელმწიფოსათვის ზეგეგმითი პურის ჩაბარება. წელს წარმატებით მიმდინარეობს თავთავიანთა მოსავლის აღება და მარცვლეულის დამზადება. უკვე ჩაბარებულია 50 ათასი ტონა ხორბალი და ქერი. განსაკუთრებით კარგად იმუშავეს ყვარლის, ლაგოდეხის, მარნეულის, ახმეტის, გარდაბნისა და სხვა რაიონების მხვნელ-მთესველებმა, რომლებმაც უკვე გადაჭარბებით შეასრულეს ამ მარცვლეული კულტურების დამზადების გეგმები. მაგრამ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სრულდებოდეს ყველა მარცვლეული კულტურის, მათ შორის სიმინდის დამზადების გეგმები.

მთლიანად კი მარცვლეულის მეურნეობის განვითარების ტემპებს ვერაფრით ვერ დავჯერდებით. მართალია, ჩვენში არის მეურნეობები, რომლებიც წლითიწლობით დიდ ფართობებზე იღებენ თავთავიანთა უხვ მოსავალს — საშუალოდ 22-28 ცენტნერს ჰექტარზე. ისეთი მეურნეობებიც კი გვაქვს, სადაც ცალკეულ ნათეს ფართობებზე იღებენ საშუალოდ 30 და მეტ ცენტნერ მარცვლეულს ჰექტარზე. ასეთებია ყვარლის რაიონის სოფლების შილდისა და ახალსოფლის კოლმეურნეობები, მარნეულის რაიონის მარნეულისა და ალგეთის მერძევეობა-მებოსტნეობისა და მუღანლოს სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები და სხვ. ლაგოდეხის რაიონში კი, მაგალითად, სოფლების აფენის, ვარდისუბნის, ჭაბუკიანის კოლმეურნეობათა ცალკეულ ნაკვეთებზე მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა აღწევს 38-40 ცენტნერს ჰექტარზე.

მაგრამ ისეთი მეურნეობებიც გვაქვს, რომლებიც სისტემატურად ვერ ასრულებენ მარცვლეულის დამზადების სახელმწიფო გეგმებს და საშუალოდ ჰექტარზე იღებენ მხოლოდ 9-10 ცენტნერ მარცვლეულს. რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დაბალია სიმინდის მოსავლიანობა, განსაკუთრებით სარწყავ მიწებზე.

ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ ჩვენ ვერ ვიყენებთ არსებულ რეზერვებს. ხოლო იმის შესახებ, თუ რა რეზერვები გვაქვს, შეგვიძლია ვიმსჯელოთ მარნეულის რაიონის მაგალითით, სადაც წინათ ჰექტარზე საშუალოდ სისტემატურად იღებდნენ მხოლოდ 11-14 ცენტნერ მარცვლეულს. მიმდინარე წელს კი მარნეულის რაიონის მეურნეობებმა საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანეს 20 ცენტნერი თავთავიანი კულტურები და გვპირდებიან, რომ სიმინდს მოიყვანენ სულ ცოტა 30 ცენტნერს ჰექტარზე.

მარცვლეულის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხები კვლავაც უნდა იყოს რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ყურადღების ცენტრში. აუცილებლად უნდა შევასრულოთ დასახული ამოცანა — უახლოეს 3-4 წელიწადში 20 ცენტნერამდე გავზარდოთ მარცვლეული კულტურების საშუალო მოსავლიანობა და ყოველწლიურად ვაწარმოოთ დაახლოებით 1 მილიონი ტონა მარცვლეული.

რა უნდა გაკეთდეს ამისათვის?

უწინარეს ყოვლისა ზუსტად უნდა ვიცავდეთ ხვნის, თესვის, მინერალური სასუქების შეტანის აგროტექნიკურ ვადებს, დროულად და მაღალხარისხოვნად ვუვლიდეთ ნათესებს, ეფექტიანად ვიყენებდეთ სარწყავ წყალს, შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ ვიღებდეთ მარცვლეული კულტურების მოსავალს.

ყოველივე ეს შესაძლებლობას მოგვცემს მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ თვითეული რაიონი, თვითეული კოლმეურნეობა, თვითეული საბჭოთა მეურნეობა უთუოდ ასრულებდეს მარცვლეულის შესყიდვის სახელმწიფო გეგმებს. გეგმა ხომ კანონია და მისი შესრულება ყველა მეურნეობისათვის სავალდებულოა.

ჩვენში კი არის ცალკეული მეურნეობები და მთელი რაიონებიც, რომლებიც წლითიწლობით ვერ ასრულებენ ამა თუ იმ სახეობის პროდუქციის დამზადების სახელმწიფო დავალებებს.

ვეღარ შევურიგდებით იმ ზოგიერთი ხელმძღვანელის ისეთ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას თავიანთი პირდაპირი მოვალეობებისადმი, რომლებმაც როგორც ჩანს, დაივიწყეს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის გეგმების შეუსრულებლობა სახელმწიფო დისციპლინის, აგრეთვე პარტიული დისციპლინის უხეში დარღვევაა.

ყველა კოლმეურნეობას, ყველა საბჭოთა მეურნეობას, ყველა ჩვენს ხელმძღვანელს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ჩაბარება და მიყიდვა ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა იყოს სოფლის თვითეული მშრომელის პირველი მცნება. აი რატომ უნდა ვზრდიდეთ მათ განუწყვეტლივ ამ მცნებისა და მისი უთუო შესრულებისათვის ღრმა პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

პლენუმზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის საკითხებს.

ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა სოფლის მეურნეობის ამ დარგის განვითარებისათვის. მაგრამ ამ საქმეში გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი, რისთვისაც სავსებით სამართლიანად გაგვაკრიტიკეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე. ამ კრიტიკას სავსებით ვეთანხმებით და უნდა განვახორციელოთ ღონისძიებანი, რათა გავადიდოთ რძის ნაწველი, გავაუმჯობესოთ პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა, გავზარდოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

ბარის რაიონების სპეციალიზებულ მეურნეობებში საშუალოდ ვიღებთ 2.000-2.500 კილოგრამ რძეს. საშუალოდ რესპუბლიკაში კი გვაქვს 1.200 კილოგრამამდე რძე ერთ საფურაჟე ძროხაზე. რესპუბლიკის მთა რაიონების ბევრ მეურნეობაში კიდევ უფრო დაბალია ნაწველი — 1.000 კილოგრამზე ნაკლები.

საჭირო კი არის მივიღოთ მაღალი მთის ზონაში სულ ცოტა 1.000-1.500 კილოგრამი რძე თვითეულ ძროხაზე, ხოლო ბარისა და საგარეუბნო რაიონების მეურნეობებში საშუალო ნაწველი გავზარდოთ 3.000-3.500 კილოგრამამდე.

ჩვენი რესპუბლიკა ყოველწლიურად ასრულებს ხორცის დამზადების გეგმებს. მაგრამ მოსახლეობის მოთხოვნილება ჯერჯერობით მთლიანად ვერ კმაყოფილდება, მთავარი კი ის არის, რომ დამზადებული ხორცი ჩვენში ჯერ კიდევ საკმაოდ კარგი ხარისხისა ვერ არის. ამიტომ ჩვენი ამოცანაა, ხორცის წარმოების მნიშვნელოვან გადიდებასთან ერთად, გადაჭრით გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი.

ამისათვის უნდა მოვაგვაროთ პირუტყვის ინტენსიური სუქება, რათა ავამაღლოთ კონდიცია და ცხოველთა საშუალო წონა.

დიდი ხვედრითი წონა რესპუბლიკის მეცხოველეობაში, განსაკუთრებით მთა რაიონებში, აქვს მეცხვარეობას, რომელიც მეურნეობის ფრიად რენტაბელური დარგია. ეს შეიძლება დავინახოთ ყაზბეგის რაიონის მაგალითით, სადაც კოლმეურნეობანი მაღალ გარანტირებულ ფულად ანაზღაურებას აძლევენ კოლმეურნეებს სახბანკში კრედიტების გამოუყენებლად.

იგივე შეიძლება ითქვას ვანის რაიონზე, რომლის მეურნეობანი ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ჩამორჩენილი იყვნენ. ახლა კი, უნარიანი ხელმძღვანელობის მეოხებით, ამ კოლმეურნეობებმა სწრაფად დაძლიეს სიძნელენი და მოწინავენი გახდნენ. ერთ წელიწადში რძის საშუალო ნაწველი გაიზარდა 466 კილოგრამით.

ბევრი რამ გაკეთდა ჩვენში საზოგადოებრივი მეფრინველეობის განვითარებისათვის. მნიშვნელოვნად გაიზარდა კვერცხისა და ფრინველის ხორცის წარმოება და ჩაბარება. უახლოეს 4-5 წელიწადში ფრინველის ხორცის წარმოება უნდა გავადიდოთ 20 ათას ტონამდე, ხოლო კვერცხისა — 500 მილიონ ცალამდე.

ამ მიზნით უნდა დავამთავროთ გორის, გომისა და კოდის მეფრინველეობის ფაბრიკების, აგრეთვე ნორიოს მეინდაურეობის ფერმების მშენებლობა, გავაფართოოთ გაგრის, თბილისის, ბათუმის, თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკები, აგრეთვე სამტრედიისა და შირაქის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობანი და მთელი რიგი საინკუბატორო-მეფრინველეობის სადგურები. ახალი ხუთწლედის

(დასასრული მე-2 გვერდზე).

მოხსენება იბეჭდება შემოკლებული სტენოგრამის მიხედვით.

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო

ირანის ეკონომიკის მინისტრი ხუშანგ ანსარი

23 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო ირანის ეკონომიკის მინისტრი ხუშანგ ანსარი, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება როგორც ირანის მთავრობის ეკონომიური დელეგაციის მეთაური.

მიღების დროს გამართულ საუბარში ა. ნ. კოსიგინმა და ხ. ანსარიმ ერთმანეთს გაუზიარეს აზრები მთელ რიგ საკითხებზე, რომლებიც ეხება მომავალ ხუთწლეულში საბჭოთა კავშირ-ირანის ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას, და ორივე მხარისათვის საინტერესო სხვა საკითხებზე.

მიღებამ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ჰავანაში ჩავიდა საბჭოთა კავშირის დელეგაცია

ჰავანა, 23 ივლისი. (საკდესი). დღეს აქ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. თ. კატუშევის მეთაურობით. დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ეროვნული აჯანყების დღის 26 ივლისის დღესასწაულში.

ჰავანის საერთაშორისო აეროპორტში საბჭოთა კავშირის დელეგაციას შეხვდნენ კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრი რაულ კასტრო და სხვა ოფიციალური პირები.

ვაჭრობის მუშაკთა დღესასწაული

23 ივლისს მოსკოვში გაიმართა ვაჭრობის მუშაკის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრმა ა. ი. სტრუევმა.

საცალო საქონელბრუნვის გადიდების ხუთწლედის დავალება, თქვაჰან, წარმატებით სრულდება. გაიზარდა ხორცის, რძის, თევზის, აგრეთვე სამრეწველო საქონლის გაყიდვა. დაჩქარებული ტემპით ვითარდება ვაჭრობა სოფლად.

ხუთწლედის დამდეგიდან ქვეყანაში გაიხსნა რამდენიმე ათასი თვითმომსახურების მაღაზია. საქონლის გაყიდვის ეს პროგრესული ფორმა ფართოვდება. თვითმომსახურების მეთოდმა გაამართლა თავისი დანიშნულება სამრეწველო ნაწარმის ვაჭრობაშიც. უკვე გაიხსნა ორი ათასამდე ასეთი მაღაზია.

კრების მონაწილეებმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

საზეიმო სხდომაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ი. ი. ბაბკოვი.

(საკდესის კორ.).

სრულიად რუსეთის კოლმეურნეობათა საბჭოს სხდომა

23 ივლისს მოსკოვში გაიხსნა სრულიად რუსეთის კოლმეურნეობათა საბჭოს სხდომა. სხდომაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, სამინისტროთა და უწყებათა პასუხისმგებელი მუშაკები. საბჭოს წევრები განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმის შედეგებს, კოლმეურნეობებში კაპიტალური მშენებლობის მდგომარეობასა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებებს.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა სრულიად რუსეთის კოლმეურნეობათა საბჭოს თავმჯდომარემ, რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლ. ი. ფლორენტიევმა. (საკდესი).

გამოფენის წარმატება

3-დან 24 ივლისამდე მოსკოვის ლუჟნიკში მუშაობდა გამოფენა „არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მრეწველობა“. იგი დაათვალიერა 100 ათასამდე კაცმა. მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები, ჩვენი ქვეყნის ბევრი ოლქიდან და ქალაქიდან ჩამოსულნი გაეცნენ ეგვიპტელი ხალხის მიღწევებს რევოლუციის წლებში.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში გამოფენის გენერალურმა დირექტორმა დოქტორმა აჰმედ შუქრი სალემმა თქვა, რომ გამოფენამ სავსებით შეასრულა თავისი ამოცანა. მისი მნიშვნელობაა არა მარტო ის, რომ საბჭოთა ადამიანებს გააცნო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სამრეწველო განვითარების წარმატებანი. გამოფენას ჰქონდა აგრეთვე დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, იგი არაბეთ-საბჭოთა კავშირის მზარდი მეგობრობის სიმბოლო გახდა. საბჭოთა ადამიანები, რომლებმაც იგი ინახულეს საკუთარი თვალით, დარწმუნდნენ, რაოდენ ნაყოფიერია ჩვენი ორი ქვეყნის თანამშრომლობა.

სახალხო პოლონეთის წიგნის დეკადა

22 ივლისს მოსკოვში დაიწყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წიგნის დეკადა, რომელიც ეძღვნება პოლონეთის აღორძინების დღეს.

დეკადა გახსნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. ი. სტუკალინმა. მან აღნიშნა ის უდიდესი წარმატებანი, რომლებიც სახალხო პოლონეთის მშრომელებმა მოიპოვეს ეკონომიკის, კულტურის დარგში და, კერძოდ, წიგნის გამოცემის საქმეში. მან თქვა, რომ 1946-1969 წლებში საბჭოთა კავშირში პოლონური ენიდან თარგმნილი და გამოცემულია 1.400-ზე მეტი წიგნი, რომელთა ტირაჟი 52 მილიონ ეგზემპლარს აღემატება. ბევრი მათგანი გამოიცა სსრ კავშირის ხალხთა ათობით ენაზე. წლითიწლობით ვითარდება და მტკიცდება საბჭოთა კავშირისა და სახალხო პოლონეთის წიგნის გამომცემელთა ურთიერთობა.

დეკადის გახსნაზე სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში იან პტასინსკიმ. მან გულითადი მადლობა გადაიხადა პოლონეთის ეროვნული დღესასწაულის — აღორძინების დღის გულთბილი მილოცვისათვის. ჩვენს ქვეყანაში, თქვა ელჩმა, რუსულ, საბჭოთა ლიტერატურას საპატიო ადგილი უკავია. ამ ბოლო 25 წელიწადში პოლონურ ენაზე გამოვიდა თითქმის ათი ათასი სახელწოდების წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი დაახლოებით 150 მილიონი ეგზემპლარია.

იმავე დღეს საზღვარგარეთის ლიტერატურის სრულიად საკავშირო სახელმწიფო ბიბლიოთეკაში გაიხსნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წიგნების დიდი გამოფენა. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 1970 წლის 23 ივლისს 48 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

რევაზ იაკობის-ძე ფრუიძე.

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება

(დასასრული)

მანძილზე უნდა აშენდეს მეფრინველეობის რამდენიმე ახალი ფაბრიკა, როგორიც არის ოჩამჩირის, ცხინვალის, ახალციხის, მეფრინველეობის ფაბრიკები, გამარჯვების ფაბრიკის ორი რიგი და ქობულეთის მეფრინველეობის ფაბრიკა.

ამ ბოლო ხანს რესპუბლიკაში ფართოდ ვითარდება მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმებისა და მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობა.

მოსაწონია ინიციატივა, რომელიც გამოიჩინეს ჩვენმა მშენებლებმა — თბილისის „გვირაბმშენის“ კოლექტივმა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებმა, რომლებმაც გადაწყვიტეს ვადამდე ჩააყენონ მწყობრში მეფრინველეობის ობიექტები. მშენებლებს დიდ პრაქტიკულ დახმარებას უწევენ პარტიის გორისა და თეთრი წყაროს რაიკომები მუშახელითა და ტრანსპორტით მშენებლობათა უზრუნველყოფაში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, „საქსოფლტექნიკამ“ ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ მშენებარე ობიექტები დროულად უზრუნველყონ საჭირო მასალებითა და მოწყობილობით.

მაგრამ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის უმთავრესი, უმნიშვნელოვანესი, გადამწყვეტია მყარი საკვები ბაზის შექმნა, მისი გაფართოება და განმტკიცება.

კომბინირებული საკვების წარმოება უნდა გავზარდოთ 700 ათას ტონამდე წელიწადში. ამისათვის ჩვენში აშენდება კომბინირებული საკვების ორი ახალი ქარხანა. ამავე დროს უნდა გავადიდოთ ძვალხორცის და თევზის ფქვილის, საკვები საფუარების, ვიტამინიანი ბალახის ფქვილისა და სხვა სახის საკვების წარმოება.

დიდი მასშტაბით უნდა განვაახლოთ ცილიანი ნივთიერებებით მდიდარი ისეთი მნიშვნელოვანი კულტურების წარმოება და დამზადება, როგორიც არის სოია და ბარდა.

უნდა გავადიდოთ საკვები კულტურების, კერძოდ, სასილოსე სიმინდის მოსავლიანობა, გავზარდოთ საკვები ძირხვენების, ნათესი ბალახების, განსაკუთრებით მრავალწლოვანი ბალახების საშუალო მოსავლიანობა. ყველა ჩვენი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მხარს უნდა უსწორებდეს ისეთი რაიონების მოწინავე მეურნეობებს, როგორიცაა წითელწყაროს რაიონი, სადაც შარშან საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 140 ცენტნერამდე საკვები ძირხვენები, გორის რაიონი, სადაც საბჭოთა მეურნეობებში ძირხვენების საშუალო მოსავლიანობამ შეადგინა 190 ცენტნერი; როგორიც არის ლაგოდეხისა და გურჯაანის რაიონები, სადაც მრავალწლოვანი ბალახების მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე გაზარდეს 95-97 ცენტნერამდე. ან მცხეთის რაიონი, სადაც საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანეს 96 ცენტნერზე მეტი ერთწლოვანი ბალახები.

ბევრ რაიონში ნაკლები ყურადღება ეთმობა ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების მდგომარეობის გაუმჯობესებას, რის შედეგადაც მათი პროდუქტიულობა ჯერ კიდევ ძალიან დაბალია.

ამხანაგებო!

ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა 102 პროცენტით შესრულდა. აშენდა მეფრინველეობის ფაბრიკები. მინერალური სასუქების საწყობები, სარემონტო საწარმოები, მეცხოველეობის სადგომები, ხილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის საცავები, სათბურები, კვალსათბურები და სხვა ობიექტები.

მწყობრში ჩადგა 42 ათასი ჰექტარი სარწყავი ფართობი და 36 ათასი ჰექტარი დაშრობილი მიწები.

ახალ ხუთწლედში კაპიტალური დაბანდებანი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე ჩვენს რესპუბლიკაშიც, მნიშვნელოვნად გაიზრდება.

ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ჩვენს პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს. უნდა გამოვიტანოთ გაკვეთილები წარსული წლების პრაქტიკიდან და ყველაფერი ვიღონოთ, რომ დროულად და მთლიანად, ყველაზე ეფექტიანად გამოვიყენოთ ჩვენთვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებანი, არ დავუშვათ ჩამორჩენა გეგმით გათვალისწინებული ყველა ობიექტის და, პირველ რიგში, საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაში.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ მარტო სარწყავი მიწების მატება მომავალ ხუთწლედში მიაღწევს 70 ათას ჰექტარს, ხოლო დაშრობილი მიწებისა — 50 ათას ჰექტარს. მწყობრში ჩადგება ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის პირველი რიგი, განხორციელდება დასაშრობი ქსელის რეკონსტრუქცია კოლხეთის დაბლობის ცალკეულ მასივებზე და ლაგოდეხის რაიონის წითელგორის დასაშრობი სისტემის რეკონსტრუქცია, აშენდება ლიახვის წყალსაცავი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ წალკის, ახალციხის, ადიგენის რაიონების, აგრეთვე ქართლის ზონის ფართობების რწყვას. ჩაის პლანტაციების მორწყვასთან ერთად, უნდა უზრუნველვყოთ ციტრუსების ბაღების მორწყვა, სადაც გვალვიან წლებში ნაყოფის გამონასკვის პერიოდში გვაქვს მოსავლის მნიშვნელოვანი დანაკარგები.

უნდა განვახორციელოთ ღონისძიებანი, რომ თავიდან ავიცილოთ გარღვევა კოლხეთის დაბლობის დაშრობასა და ათვისებას შორის, რაც ზოგჯერ იწვევს სამელიორაციო სამუშაოთა განმეორებითი წარმოების საჭიროებას. დაშრობილი მიწები უნდა გამოვიყენოთ დანიშნულებისამებრ და დაშრობა, ისევე როგორც კოლხეთის დაბლობის ათვისება, ვაწარმოოთ ზუსტად გეგმის მიხედვით.

ამხანაგებო!

ამ ბოლო ოთხი წლის მანძილზე ბევრ მეურნეობაში მნიშვნელოვნად შემცირდა დანახარჯები, უზრუნველყოფილია შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდა, რამაც განაპირობა კოლმეურნეობათა შემოსავლისა და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების გადიდება. შემცირდა ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობათა რიცხვი.

ამასთანავე რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ცოტა როდია ზარალიანი მეურნეობანი, რომლებიც მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში არიან. ეს უყაირათობის, წარმოების არსებული რეზერვების ცუდად გამოყენების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალი მოსავლიანობის, ისევე როგორც მეცხოველეობის დაბალი პროდუქტიულობის, ფინანსური დისციპლინის დარღვევის შედეგია.

ზოგიერთი კოლმეურნეობა ყოველწლიურად დიდ თანხებს ახმარს არასაწარმოო დანიშნულების ნაგებობათა მშენებლობას, თანაც მათ უსასყიდლოდ სარგებლობისათვის გადასცემს ხოლმე სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ამ ნაგებობათა ღირებულებას კი არა, იჯარასაც არ იხდიან. შემდგომში ასეთი პრაქტიკა გადაჭრით უნდა უარვყოთ.

ბევრ კოლმეურნეობაში სერიოზული ნაკლოვანებებია ეკონომიურ, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში, სათანადოდ მოგვარებული არ არის აღრიცხვა და შრომის ანაზღაურება. ადგილებზე აკლიათ ანგარიშწარმოებისა და საფინანსო დარგის კვალიფიციური მუშაკები, სოფლის მეურნეობის სამმართველოთა საკონტროლო-სარევიზიო აპარატს ხშირად არა ჰყავს კარგად მომზადებული კადრები.

განსაკუთრებით მძიმე ფინანსური მდგომარეობა შეიქმნა ლენტეხის, თიანეთის, ახალქალაქის, საჩხერის, დმანისის, წალკის, თეთრი წყაროს, კასპის, ხობის რაიონების კოლმეურნეობებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

სერიოზული ნაკლოვანებები და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დარღვევებია ახალქალაქის, აბაშის, დმანისისა და გარდაბნის რაიონების ბევრ საბჭოთა მეურნეობაში, რის შედეგადაც გასული წელი დიდი ზარალით დაამთავრეს. ყოველივე აქედან სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა ორგანოებმა უნდა გამოიტანონ სერიოზული დასკვნები. საჭიროა თვითეულ კოლმეურნეობაში, თვითეულ საბჭოთა მეურნეობაში შევამოწმოთ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მდგომარეობა და უახლოეს ხანში მთლიანად აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი და დარღვევები.

ახლა ვამუშავებთ ეკონომიურად სუსტი მეურნეობების განმტკიცების კონკრეტულ ღონისძიებებს. ჩვენთან შემოდის ბევრი მოწინავე მეურნეობის წინადადებანი, რომ რეალურ დახმარებას გაუწევენ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. ყურადღებით უნდა განვიხილოთ ყველა ეს წინადადება და შევარჩიოთ ყველაზე საყურადღებო, ყველაზე მისაღები წინადადებანი.

საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის საკითხებში, ისევე როგორც სხვა საკითხებში, კოლმეურნეობათა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო სრულად უნდა განახორციელონ სკკპ წესდებით მინიჭებული კოლმეურნეობების გამგეობათა საქმიანობისადმი კონტროლის უფლება. პარტიის რაიკომებმა აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ამ საკითხებს და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მეცადინეობა წარმართონ ამ საკითხების განხორციელებისათვის, კომუნისტები აღზარდონ საწესდებო მოთხოვნების განუხრელად დაცვის სულისკვეთებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის საჭიროება ახალ ამოცანებს უსახავს მეცნიერებას.

ჩვენი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი ბევრ რამეს აკეთებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის, მაგრამ ზოგიერთი ჩვენი ინსტიტუტის მუშაობაში, მაგალითად, როგორიც არის სატყეო ინსტიტუტი, საქართველოს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, სერიოზული ნაკლოვანებებია. კვლავინდებურად ცუდად წარმოებს ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ისეთი დაავადებების წინააღმდეგ, როგორიც არის წვრილფოთოლა სიხუჭუჭე, ნაძვის დიდი ლაფნიჭამია და სხვა მავნებლები, რომლებსაც დიდი ზიანი მოაქვთ ჩვენი ტყეებისათვის.

1965 წელს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში შეიქმნა ნაძვის დიდ ლაფნიჭამიასთან ბრძოლის მეთოდების შემსწავლელი სპეციალური განყოფილებაც კი, რომელიც 54 კაცს, მათ შორის მეცნიერებათა ოთხ დოქტორს და ცხრა კანდიდატს აერთიანებს. მაგრამ არსებითი ცვლილებანი ამ ლაფნიჭამიასთან ბრძოლაში არ მომხდარა.

პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, მეცნიერებმა, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა უფრო ეფექტიანად უნდა გამოიყენონ პრაქტიკაში მეცნიერული კვლევის შედეგები, ენერგიულად დანერგონ ისინი წარმოებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ხაზი გაუსვა, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკითხი ძირეული და მთავარია. სოფლის მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა გადიდებასთან, ქიმიზაციის ტემპების გაძლიერებასთან, მიწების მელიორაციის განვითარებასთან ერთად ამ ბაზის შექმნისა და განმტკიცებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო პროცესების მექანიზაციას, რომელიც მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საფუძველს შეადგენს.

ჩვენში არაერთხელ აღინიშნა ნაკლოვანებანი, რომლებიც „საქსოფლტექნიკის“ და მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაობაშია. მაგრამ, სამწუხაროდ, საქმის მდგომარეობა ჯერჯერობით არ უმჯობესდება. კვლავინდებურად სოფლის მეურნეობაში მთელი რიგი შრომატევადი პროცესების მექანიზაცია დაბალ დონეზეა, რაც ძლიერ აფერხებს შრომის ნაყოფიერების ზრდას, განსაკუთრებით მეცხოველეობაში. „საქსოფლტექნიკის“ მუშაკებისაგან მოველით, რომ გადაჭრით გარდაქმნიან მუშაობას — რაც შეიძლება მალე დანერგავენ ახალ მანქანებსა და მექანიზმებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, ქმედით დახმარებას გაუწევენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიწების ქიმიზაციაში, ტექნიკის მაღალხარისხოვან შეკეთებაში, ხოლო რაც მთავარია მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდის მტკიცე წანამძღვრების შექმნაში.

პლენუმმა მრეწველობის ყველა დარგს მოუწოდა აქტიური მონაწილეობა მიიღონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ხელახალ ტექნიკურ შეიარაღებაში, თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგრეგატების, კვანძებისა და სათადარიგო ნაწილების გამოშვების გადიდებაში.

ჩვენი რესპუბლიკის ისეთ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების სასახელოდ, როგორიც არის თბილისის ჩარხსამშენებლო და ელმავალსამშენებლო ქარხნების, ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ჭიათურის მარგანეცის ტრესტი და სხვ., უნდა ითქვას, რომ ისინი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შემდეგ მაშინვე ჩაებნენ სოფლისათვის მანქანებისა და მოწყობილობის, საშენი და სხვა მასალების მიწოდების გადიდების დამატებითი წყაროების გამოვლინებისათვის. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში უახლესი ტექნიკის დანერგვისათვის მუშაობაში.

თბილისის საავიაციო ქარხანაში, რომელიც რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა, უკვე შეუდგნენ სართიჭალის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ხელახალ ტექნიკურ შეიარაღებას.

ზოგიერთ სამინისტროს, უწყებასა და საწარმოს, რომლებიც უშუალოდ უნდა მონაწილეობდნენ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასა და განვითარებაში, მისი პროდუქციის გადამუშავებაში, ჯერ კიდევ ვერ შეუგნია თავისი პასუხისმგებლობა ამ საქმისათვის. მაგალითად, 1969 წელს რუსთავის ქიმიურმა კომბინატმა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას დააკლო 18 ათასი ტონა, ამა წლის პირველ ნახევარში კი 33.500 ტონა მინერალური სასუქები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჩვენს დროში არავის არა აქვს უფლება განზე გაუდგეს ისეთი დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანის გადაწყვეტას, როგორიც არის სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარება, რომ ეს საქმე ყველა მშრომელის, მთელი ხალხის საქმეა.

ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე მოხსენების დასასრულს შეეხო იმ სიძნელეთა და ნაკლოვანებათა მთავარ, ძირითად მიზეზებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის განვითარებაშია, და მისი შემდგომი აღმავლობის ამოცანებს.

ჩვენი სიძნელეებისა და ნაკლოვანებების ძირითადი, ყველაზე მთავარი მიზეზი ის არის, რომ ბევრ ჩვენს კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, მეცხოველეობის ფერმაში ჯერ კიდევ ცუდად, ზოგჯერ უუნაროდ არის მოწყობილი შრომა, რომ ჯერ კიდევ დაბალია ჩვენში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურა.

სწორედ შრომის სუსტი ორგანიზაციით, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის არასაკმაო კულტურით შეიძლება ავხსნათ ის ფაქტი, რომ თესვის აგროტექნიკური ვადები ხშირად ირღვევა. ნათესები დროულად არ მუშავდება, რომ სასუქები არ შეაქვთ ან ისეთი რაოდენობით და მაშინ შეაქვთ, როცა მათ მხოლოდ ზიანი მოაქვთ, რომ არსებული ტექნიკა ჩვენში გამოყენებული არ არის, ღია ცის ქვეშ ყრია, ფუჭდება, რომ სარწყავ მიწებზეც კი შეუწყნარებლად მცირე მოსავალს ვიღებთ, რომ, ბოლოს, ჩვენში ჯერ კიდევ დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა.

ამიტომ უწინარეს ყოვლისა უნდა მოვაგვაროთ შრომის კარგი, მწყობრი ორგანიზაცია ყველა უბანზე, ჩვენი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა რგოლში.

ბევრი ნაკლი გამოწვეულია იმით, ზოგიერთი ჩვენი მუშაკი ვერ დაუფლებია მეურნეობის წესიერად გაძღოლას, ყაირათიანად არ ეკიდება ხალხის დოვლათს, ვერ ანგარიშობს თვითეულ კაპიკს, არ უფრთხილდება ამ კაპიკს.

ფაქტები მოწმობენ, რომ ადგილებზე ხალხის კაპიკს არ უფრთხილდებიან არა მარტო იმიტომ, რომ ზოგჯერ დაუდევრად, უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ხალხის დოვლათს, არამედ იმიტომ, რომ არ იციან, ვერ ისწავლეს ნამდვილი ანგარიში, ღრმა ეკონომიური ანალიზი. ამისათვის, რა თქმა უნდა, საჭიროა ეკონომისტთა, ბუღალტერთა, მოანგარიშეთა კარგად მომზადებული კადრები, რომლებმაც იციან არა მარტო სწორი ანგარიში, არამედ მეურნეობის გონივრული გაძღოლა, მისი განვითარების პერსპექტივის დანახვა.

ამიტომ ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ სახელმწიფო წესრიგი დავამყაროთ ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში, ვისწავლოთ თვითეული კაპიკის გაფრთხილება.

მესამე საკითხი უშუალოდ დაკავშირებულია პირველ ორ საკითხთან. ამ ბოლო წლების მანძილზე მნიშვნელოვნად განვამტკიცეთ კოლმეურნეობების თავმჯდომარეების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორების შემადგენლობა, რომელთა შორის ბევრია გამოცდილი, საქმის მცოდნე ადამიანი, მათ შორის უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. მაგრამ სოფლად ცოტა როდი გვყავს სუსტი, საკოლმეურნეო წარმოების უუნარო ორგანიზატორები, ზოგჯერ უსუსური მუშაკებიც კი.

სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ხშირად იცვლებიან კოლმეურნეობების თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები ასპინძის, ზუგდიდის, კასპის, ონის, თერჯოლის, ცაგერის, წალენჯიხის, წულუკიძის რაიონებში, აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ზოგიერთ რაიონში, აგრეთვე სხვა რაიონებში. ხდება ხოლმე, რომ ადგილიდან ადგილზე გადაჰყავთ მუშაკები, რომლებმაც საქმეს თავი ვერ გაართვეს.

საჭიროა ავამაღლოთ როლი და პასუხისმგებლობა სოფლის მეურნეობის სამმართველოთა უფროსების, რომლებიც ამავე დროს რაიაღმასკომების თავმჯდომარეთა მოადგილეები არიან. მათ უნდა შეიგნონ, რომ პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ რაიონში სოფლის მეურნეობის მდგომარეობისათვის, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისათვის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აღრიცხვისა და ანგარიშგებისა და შრომის ორგანიზაციისათვის.

ახლა სოფლის მეურნეობას ძველებურად ვეღარ ვაწარმოებთ, საკმარისი აღარ არის ზოგადი მითითების მიცემა, საჭიროა, რომ ჩვენი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები უფრო ღრმად სწვდებოდნენ საქმის არსს, ერკვეოდნენ სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში, რომ უფრო კარგად იცოდნენ მისი სპეციფიკა.

ამრიგად, ამოცანა ის არის, რომ უნარიანად შევარჩიოთ კადრები, მოთმინებითა და ბეჯითად აღვზარდოთ ისინი, სწორად გავანაწილოთ მუშაკები სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე.

ჩვენი ნაკლოვანებების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ მუშაკთა გარკვეულმა ნაწილმა დაკარგა პასუხისმგებლობის გრძნობა მინდობილი საქმისათვის, რომ ჩვენში რამდენადმე შესუსტდა დისციპლინა, შემცირდა მომთხოვნელობა მუშაკებისადმი.

ჯერ კიდევ არიან ხელმძღვანელები, რომლებიც ანიავებენ ხალხის დოვლათს, ფლანგავენ, არადანიშნულებისამებრ ხარჯავენ კოოპერაციულ სახსრებს. ჯერ კიდევ არის ხალხის დოვლათის დატაცებისა და მითვისების შემთხვევები.

ყველა ამ ანტისაზოგადოებრივი მოვლენის წინააღმდეგ ჩვენი პარტიული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები უაღრესად მწვავე, უაღრესად შეურიგებელ ბრძოლას უნდა ეწეოდნენ. თავის მხრივ სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები უფრო ოპერატიულად, უფრო გადაჭრით უნდა ებრძოდნენ ამგვარ ფაქტებს.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციები უნდა იჩენდნენ მაღალ მომთხოვნელობას უკლებლივ ყველა მუშაკისადმი, ზრდიდნენ კადრებს საქმისადმი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების სულისკვეთებით.

ამრიგად, ჩვენი ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა ის არის, რომ უფრო გაბედულად ვამხილოთ ნაკლოვანებანი, ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, გავადიდოთ მომთხოვნელობა ჩვენი კადრებისადმი, ჩავუნერგოთ მათ თავის კოლექტივში, თავის პარტორგანიზაციაში საქმის მდგომარეობისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, გადაჭრით განვამტკიცოთ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა.

სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაჭრისაკენ უნდა იყოს მიმართული ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მთელი საქმიანობა, მთელი ჩვენი ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელებისათვის საჭიროა გავადიდოთ სოფლად პირველადი პარტიული ორგანიზაციების, ყველა ჩვენი სასოფლო პარტიული კომიტეტის აქტივობა, კიდევ უფრო ავამაღლოთ კომუნისტების ავანგარდული როლი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების გადამწყვეტ უბნებზე.

ჩვენს სოფლის მეურნეობაში მუშაობს 83 ათასზე მეტი კომუნისტი, 86 ათასი კომკავშირელი. ეს ხომ დიდი ძალაა, საჭიროა მხოლოდ უნარიანად წარვმართოთ იგი!

საჭიროა გამუდმებით ვავითარებდეთ ხალხის შემოქმედებით ენერგიასა და მასების ინიციატივას, უფრო ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება, აღმოვფხვრათ მის ორგანიზაციაში ფორმალიზმი და კამპანიურობა. მშრომელთა კოლექტივების ვალდებულებანი უნდა განვამტკიცოთ სერიოზული ორგანიზატორული მუშაობით. მთელი ჩვენი ორგანიზაციულ-პარტიული, აღმზრდელობითი მუშაობა უნდა ვაწარმოოთ სამეურნეო ამოცანებთან მჭიდრო, განუყრელი კავშირით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი დიდ და სერიოზულ ამოცანებს უსახავენ პრესას. ჩვენი რესპუბლიკური, რაიონული და საქალაქო გაზეთების რედაქციები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტი მოწოდებული არიან ფართო პროპაგანდას უწევდნენ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა ღრმა აზრს, სისტემატურად, ოპერატიულად, საქმის ცოდნით აშუქებდნენ სოფლის მშრომელთა, რესპუბლიკის ყველა მშრომელის ბრძოლას სოფლის მეურნეობის უსწრაფესი აღმავლობისათვის.

ჩვენი პირველი რიგის ამოცანაა დავრაზმოთ მთელი ჩვენი აქტივი, ყველა კომუნისტი, რესპუბლიკის ყველა მშრომელნი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მიერ დასახულ ღონისძიებათა შესასრულებლად, განვახორციელოთ მისი გადაწყვეტილებანი, გადავაქციოთ ისინი რეალურ, პრაქტიკულ საქმეებად სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაჩქარებული „განვითარებისათვის“, ღირსეულად შევხვდეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს.

მთელი ძალღონე მოვახმაროთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა სუფევს საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში. დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ მშრომელნი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXIV ყრილობის მოწვევის შესახებ. განაგრძობენ რა ლენინურ შრომით ვახტს, ფაბრიკების, ქარხნების, ტრანსპორტის, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას პარტიის ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში ჩაებნენ სოფლის მშრომელნი, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები. ადამიანთა აზრები და გრძნობები მიმართულია იქითკენ, რომ მისცენ სამშობლოს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მეტი პროდუქტი, წარმატებით შეასრულონ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ამოცანა. ამ სასიხარულო მოვლენებს უსვამდა ხაზს ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენების გამო გამართული კამათის ყველა მონაწილე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა, თქვა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა მ. ო. კობახიამ, მიიღო ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გაშლილი პროგრამა.

სოფლის მეურნეობის დარგში დიდმნიშვნელოვანი ამოცანების შესრულება მოითხოვს პარტიული ორგანიზაციების დიდ ღონისძიებებს, პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ამაღლებას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ამხ. კობახიამ ილაპარაკა წარმატებებზე, რომლებიც აფხაზეთის მშრომელებმა მოიპოვეს სოფლის მეურნეობაში. ვადამდე შესრულებულია ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის ხუთწლიანი გეგმა. წინა ხუთწლედთან შედარებით მოკრეფილია თითქმის 60 ათასი ტონით მეტი ჩაის ფოთოლი. 1200 კილოგრამით გაიზარდა ჩაის ფოთლის მოსავლიანობა ჰექტარზე, გადიდდა ჩაის მექანიზებული კრეფის წილი, გაიზარდა პირველი ხარისხის ფოთლის ხვედრითი წონა. გარკვეული შედეგებია მიღწეული აგრეთვე სოფლის მეურნეობის მთელი რიგი სხვა დარგების კერძოდ, მეციტრუსეობის, მევენახეობისა და მეაბრეშუმეობის განვითარებაში.

ამასთანავე ორატორმა ილაპარაკა ნაკლოვანებებზე, რომლებიც არის სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებაში. დაძლეული არ არის ჩამორჩენა მეთამბაქოეობაში. უკანასკნელ ოთხ წელიწადში თამბაქოს დამზადების გეგმა არც ერთხელ არ შესრულებულა. ყველაზე მეტი ჩამორჩენაა გუდაუთის, სოხუმისა და გულრიფშის რაიონების კოლმეურნეობებში. აფხაზეთის პარტიულმა ორგანიზაციამ დასახა და ახორციელებს ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებს.

დამაკმაყოფილებელი არ არის სოფლის მეურნეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. საჭიროა გავაუმჯობესოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სამრეწველო წარმოების ორგანიზაცია.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, როგორც აღნიშნული იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ივლისის პლენუმზე, ერთ-ერთი მთავარი და პირველი რიგის ამოცანაა უახლოეს პერიოდში. ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას განსაკუთრებით ესაჭიროება ტექნიკა სამთო მიწათმოქმედებისათვის. ხშირად გვესმის, რომ მეცნიერებმა და კონსტრუქტორებმა მანქანების მთელი კომპლექსები შექმნეს სამთო მიწათმოქმედებისათვის, მაგრამ ამ მანქანებს ჩვენ ვერ ვხედავთ, ისინი ძალიან ცოტაა. კონსტრუქტორთა და მანქანათმშენებელთა ვალია დაეხმარონ სოფელს ტექნიკით.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს ჩვენმა მეციტრუსეებმა, თქვა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლ. მ. დავითაძემ, რომლებიც სისტემატურად ასრულებენ ახალი პლანტაციების გაშენებისა და ნაყოფის დამზადების გეგმებს. მათ ვალდებულება იკისრეს მიმდინარე წელს მოიყვანონ 50 ათასი ტონა ციტრუსები. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივ მეურნეობათა ხვედრითი წონა ციტრუსების დამზადებაში ჯერ კიდევ საკმარისი არ არის. კარგად მუშაობენ აჭარის მეჩაიეები, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა დასახა მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაზრდის დიდი ამოცანები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დიდმნიშვნელოვან დარგში აჭარაში არის ბევრი ნაკლი. ვერ სრულდება ხორცის წარმოების გეგმები. ამ ბოლო წლების მანძილზე შეიქმნა ბათუმის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა, მეფრინველეობის ფაბრიკა, მელორეობისა და საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფერმები, რომლებიც ცოტას როდი აწარმოებენ ხორცსა და კვერცხს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის მშრომელებისა და ჩვენი კურორტების მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. ახალ ხუთწლედში დაიწყება ქობულეთის მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობა, რომლის ამოქმედების შედეგად გაიზრდება ხორცისა და კვერცხის წარმოება. ხულოსა და შუახევის რაიონებში ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად იქმნება საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფერმები. გათვალისწინებულია მელორეობისა და მეხბოვრეობის შემდგომი განვითარება.

ცნობილია, რომ მეცხოველეობის განვითარების ძირითადი პირობაა მყარი საკვები ბაზა. ამ მხრივ ჩვენში საქმე კარგად ვერ არის. დაბლობი ზონების მეურნეობათა სავარგულები უკავიათ სუბტროპიკულ კულტურებს და მეცხოველეობის საკვების წარმოება მეტად შეზღუდულია. მაღალპროდუქტიულ პირუტყვს წლის განმავლობაში ბაგური წესით ინახავენ, რაც აძვირებს პროდუქციის თვითღირებულებას. ამიტომ ბევრი ფერმა რენტაბელური არ არის.

აჭარის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი, წარმატებით შევასრულოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

ამ ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში განხორციელდა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვანი ღონისძიებანი. გაიზარდა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება, წარმატებით სრულდება სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმები. მაგრამ, აღნიშნა სოფლის მეურნეობის მინისტრმა მ. გ. ღვინჯილიამ, გამოუყენებელი რეზერვები ძალიან ბევრი გვაქვს, მათი გამოყენება საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავზარდოთ კვების პროდუქტებისა და მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის წარმოება.

ამხ. ღვინჯილიამ აღიარა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამართლიანი კრიტიკა, რომელიც გამოითქვა მოხსენებაში და კამათის მონაწილეთა გამოსვლებში.

მინისტრმა პლენუმის მონაწილეთა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა გავადიდოთ ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების მოსავლიანობა, გავაიაფოთ მათი წარმოების თვითღირებულება.

ამხ. ღვინჯილიას მეცხოველეობაში ჩამორჩენის მთავარ მიზეზად მიაჩნია ის, რომ საკმარისი არ არის საკვები ბაზა. რესპუბლიკაში მზადდება საჭირო საკვების არაუმეტეს 70 პროცენტისა, არ სრულდება იმ კულტურების თესლბრუნვის გეგმები, რომლებსაც შეუძლიათ მწვანე საკვების დიდი მოსავლის მოცემა.

გამოსვლაში დიდი ყურადღება დაეთმო მეთესლეობის საკითხებს.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში, აღნიშნა შემდეგ ორატორმა, — დიდი უნაყოფო ხარჯებია. ამ საკითხებს ყველაზე სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. მეტი დრო უნდა დაეთმოს ეკონომიკის საკითხებს. ამ მიმართულებით დადებით მუშაობას აწარმოებენ ვანის რაიონში, სადაც გასული წელი მეურნეობებმა მოგებით დაამთავრეს, გარკვეული სახსრები გადაირიცხა განუყოფელ ფონდებში. ასევე კარგად არის საქმე ამ მიმართულებით აბაშის რაიონშიც. ამ რაიონებს სხვა რაიონებთან შედარებით უკეთესი ბუნებრივი პირობები არა აქვთ. მაგრამ არსებული რეზერვების გამოყენება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, მეურნეობის სწორი გაძღოლა საშუალებას იძლევა უკეთ გამოიყენონ მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი, [illegible] ქმნის საქმიანი ინიციატივის გამოვლინებისათვის. სამწუხაროდ, ეს არ შეიძლება ითქვას ზოგიერთი რაიონის მეურნეობებზე, სადაც ჯერ კიდევ ბევრია ზარალიანი კოლმეურნეობა. ფინანსური სიძნელენი მთელ რიგ რაიონებში იმის შედეგია, რომ დარღვეულია საკოლმეურნეო ცხოვრების წესდების მოთხოვნები.

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება მოითხოვს აქტიურ ბრძოლას მიწებისა და საკოლმეურნეო საშუალებათა გამოყენებაში უყაირათობის წინააღმდეგ.

ჩვენი რაიონი, თქვა პარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ნ. თოიძემ, ჩაის წარმოებისა და დამზადების უდიდესი რაიონია. მეჩაიეები მუდამ ასრულებენ სახელმწიფო დავალებებსა და ვალდებულებებს. ხუთწლედის დამდეგიდან რაიონში დამზადდა ორასი ათას ტონამდე ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მისმა მოსავლიანობამ ჰექტარზე ხუთი ათას კილოგრამს გადააჭარბა. რაიონის მშრომელები აგრეთვე ციტრუსების, სიმინდის, აბრეშუმის პარკის, სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების უხვ მოსავალს იღებენ.

უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე რაიონში ნასვენ მიწებზე ათვისებულია სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურა, დიდ ფართობებზე განხორციელდა ციტრუსოვანთა პლანტაციების რწყვა, ამაღლდა მიწათმოქმედების კულტურა. ამ და სხვა ღონისძიებებმა კიდევ უფრო გაზარდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა. რაიონის 36-ივე კოლმეურნეობა და ხუთივე საბჭოთა მეურნეობა რენტაბელურია. გაიზარდა სოფლის მშრომელთა ცხოვრების დონე, გაუმჯობესდა მათი მატერიალური კეთილდღეობა. აშენდა ახალი სკოლები და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, გაჩნდა საწარმოო დანიშნულების ბევრი ობიექტი.

რაიონში რენტაბელური არ არის მხოლოდ საზოგადოებრივი მეცხოველეობა. ეს ძირითადად იმით აიხსნება, რომ საკვების დაახლოებით 40 პროცენტი შემოგვაქვს. ახლა ვეძებთ რეზერვებსა და შესაძლებლობებს, რათა მეცხოველეობა რენტაბელურ დარგად გადავაქციოთ.

რაიონის სოფლის მშრომელები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას სკკპ XXIV ყრილობის მოწვევის შესახებ. ყველგან კისრულობენ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს, რათა სახელოვანი საქმეებით აღნიშნონ პარტიის XXIV ყრილობა, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა, თქვა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრმა ზ. ს. ქობულიამ, ხაზი გაუსვა, თუ რა უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს მიწების მელიორაციას. მომავალ ხუთწლედში რესპუბლიკაში ამოქმედდება ათასობით ჰექტარი ახალი სარწყავი მიწები, აშენდება სამელიორაციო სისტემები ჭარბტენიან რაიონებში, ძირეულად გაუმჯობესდება მდელოები და საძოვრები. გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს სამელიორაციო მიწების გამოყენება, უფრო ფართოდ განხორციელდეს ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაოთა კომპლექსი. ყოველივე ეს მელიორაციის მუშაკთა წინაშე ახალ დიდ ამოცანებს სახავს. მით უმეტეს, რომ კოლხეთის დაბლობის ამოშრობასა და ათვისებაში სერიოზული ნაკლოვანებანია, რაც სამართლიანად აღინიშნა ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენებაში.

წლითიწლობით იზრდება ასიგნობანი საირიგაციო სამუშაოებისათვის. საკმარისია აღინიშნოს, რომ მიმდინარე ხუთწლედში ამ მიზნისათვის დაიხარჯება 189,3 მილიონი მანეთი. მომავალ ხუთწლედში ეს თანხა გაიზრდება 320 მილიონ მანეთამდე.

როგორც აღინიშნა, ამ ბოლო დროს ფართოდ გაშალდა დაჭაობებული მიწების ამოშრობისა და მინდვრების რწყვის სამუშაოები. ამასთან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამუშაოთა ხარისხი. წყალსამეურნეო ობიექტების მშენებლობაში ფართოდ ინერგება ინდუსტრიული მეთოდები. ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენებამ საშუალება მოგვცა შეუფერხებლად გვეწარმოებინა სამელიორაციო მშენებლობა მთელი წლის განმავლობაში. მიწის სამუშაოების შრომატევადი პროცესები სავსებით მექანიზებულია. მუშაობს ბევრი ექსკავატორი, სკრეპერი, ბულდოზერი. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს ჩქარი ტემპით ვაშენოთ დიდი საირიგაციო ნაგებობანი. ამჟამად შენდება ისეთი ობიექტები, როგორიც არის ზემო ალაზნის, ქვემო სამგორის, ფარეხა-ახალციხის, ტიძმის, კავთისხევის, საგურამოსა და სხვა სარწყავი სისტემები. მაგრამ წყლის რესურსები ვერ აკმაყოფილებენ საირიგაციო მშენებლობის გაზრდის მოთხოვნილებებს, რის გამო საჭირო ხდება მდინარეთა ჩადინების რეგულირება განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში. ამასთან დაკავშირებით უნდა შეიქმნას წყალსაცავები ლიახვის, ალგეთის, ალაზნის, მაშავერას, ხრამისა და სხვა მდინარეების ბაზებზე. დასახულია ძველი სარწყავი სისტემების მოწესრიგებისა და მცირე მოცულობის წყალსაცავების მშენებლობა.

მექანიზაცია შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველია

წარმოების ტექნიკური დატვირთვა გადამწყვეტი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ტემპებს, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საფუძველია. კომუნისტური პარტია უდიდეს ყურადღებას უთმობს სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აღჭურვას თანამედროვე მანქანური ტექნიკით, მათს უზრუნველყოფას მინერალური სასუქებით, მიწების მელიორაციის განხორციელებას. სოფლის მშრომელთა ვალია ამ ზრუნვას უპასუხონ კონკრეტული საქმეებით, რათა მიწა იძლეოდეს მეტ პროდუქციას, დიდდებოდეს პირუტყვის სულადობა, იზრდებოდეს მისი პროდუქტიულობა.

რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარემ ი. შ. ხუხლომა თავისი გამოსვლა მიუძღვნა ძირითადად მეცხოველეობის პროცესების მექანიზაციის საკითხებს. ბევრი მეცხოველეობის ფერმა დაკომპლექტებული არ არის მექანიზატორთა კვალიფიციური კადრებით, არ ჰყოფნით მონტიორები, ზეინკლები, გამმართველი ოსტატები და სხვა კვალიფიციური კადრები. ამის შედეგად საწველი აგრეგატები და სხვა მექანიზმები უმოქმედოდ არის. საკმარისად მექანიზებული არ არის საკვების მოპოვების ტექნოლოგიური პროცესები. მეცხოველეობის დაბალი მექანიზაციისათვის მეურნეობებთან ერთად პასუხს აგებენ აგრეთვე „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილებანი.

„საქსოფლტექნიკა“ შეუდგა ფერმებში საინჟინრო სამსახურის ორგანიზაციის სამუშაოებს. მექანიზატორთა ამოცანა ის არის, რომ კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვით ფერმებში მკვეთრად აამაღლონ მეცხოველეთა შრომის ნაყოფიერება. ხორცის, რძის, კვერცხისა და სხვა პროდუქტების წარმოებაზე უნდა ვხარჯავდეთ 3-4-ჯერ ნაკლებ შრომას, ვიდრე ამჟამად ვხარჯავთ.

რაიონულ განყოფილებათა ძალებით რესპუბლიკის 97 ფერმაში დაინერგა კომპლექსური მექანიზაცია. წელს მექანიზებულ იქნება კიდევ 40 ფერმა. მაგრამ ესეც არ არის საკმარისი. ამიტომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ახალ ხუთწლედში უნდა შეუდგნენ ფერმების რეკონსტრუქციას, იმ ანგარიშით, რომ შესაძლებელი იყოს მექანიზაციის განხორციელება.

— ჩვენი ცენტრალური ამოცანა, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე აღინიშნა, — თქვა სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ პროფესორმა შ. ი. კირესელიძემ, — უნდა იყოს სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ყოველი ღონისძიებით განმტკიცება, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აღჭურვა მოწინავე, თანამედროვე მანქანური ტექნიკით, მათი უზრუნველყოფა მინერალური სასუქებით, მიწების მელიორაციის ფართოდ განვითარება. პლენუმმა საჭიროდ ცნო უახლოეს წლებში უზრუნველვყოთ სატრაქტორო, სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო მანქანათმშენებლობის შემდგომი განვითარება, შევქმნათ ამ დარგებში დამატებითი საწარმოო სიმძლავრეები, რათა ახალ ხუთწლედში მნიშვნელოვნად გავადიდოთ ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება.

კომუნისტური პარტიის მუდმივი ზრუნვის შედეგად უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენში მოპოვებულია დიდი შედეგები სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარების დარგში. საბჭოთა ტექნიკა დღეს არ ჩამოუვარდება მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ტექნიკას არც რაოდენობრივად, არც ხარისხობრივად. ჩვენი ტრაქტორები მსოფლიო სტანდარტების დონეზე დგანან. მაგრამ ჩვენი მეურნეობანი ჯერ კიდევ საკმარისი ეფექტიანობით ვერ იყენებენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და მოწყობილობას. მაგალითად, თუ 1960 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში თვითეულ პირობით ტრაქტორზე დღიური გამომუშავება საშუალოდ 2,9 ჰექტარს შეადგენდა, 1965 წელს იგი 2,4 ჰექტარამდე შემცირდა, საბ-

(დასასრული მე-3 გვ.)

მთელი ძალღონე მოვახმაროთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებას

(დასასრული)

ჭოთა მეურნეობებში — 2,2 ჰექტარამდე. მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სწორ და რაციონალურ გამოყენებას. ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ სოფლის მექანიზატორთა კვალიფიციური კადრების მომზადებისა და შენარჩუნებისათვის.

ამხ. კერესელიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ განვითარებას ხელს უშლის ის, რომ არ არის კარგი ბაზა საექსპერიმენტო მანქანების დასამზადებლად. ამით აიხსნება, რომ ბევრი სასარგებლო წინადადება და ჩანაფიქრი განუხორციელებელი რჩება. მან ილაპარაკა აგრეთვე იმის შესახებ, რომ საჭიროა საკონსტრუქტორო სამუშაოების თავმოყრა ერთ დაწესებულებაში. უკანასკნელ წლებში საზღვარგარეთის ბევრი ქვეყანა დიდ ინტერესს იჩენს ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოსადმი". თერთმეტმა ქვეყანამ უკვე გვთხოვა ეს მანქანები, ამასთან დაკავშირებით მან დასვა საკითხი მანქანა „საქართველოს" გამოშვების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ.

გავზარდოთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განახორციელეს ღონისძიებანი, რომ გაძლიერდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესება ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებით. ახალი შესასყიდი ფასები, ფერმების ტექნიკით აღჭურვა, სხვა ღონისძიებანი საშუალებას მოგვცემენ მეცხოველეობა ვაწარმოოთ საკმაოდ რენტაბელურად. ახლა ბევრი რამ არის დამოკიდებული ჩვენზე, იმაზე, თუ როგორ გავანაღდებთ ამ წანამძღვრებს, როგორ იქნება ორგანიზებული შრომა ფერმებში, საკვების წარმოება, ჯიშთსაშენი სამუშაოები, სავეტერინარო მომსახურება. ჩვენში არის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, აგრეთვე ბევრი ადამიანი, რომლებიც კარგად უძღვებიან მეცხოველეობას. უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მათი გამოცდილება, მეცნიერთა რეკომენდაციები და მაშინ საქმეც კარგად წავა.

წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ა. პიზაიძემ თქვა, რომ კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ხუთწლიანი გეგმა. სოფლის მეურნეობის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის კოლმეურნეობას სამუდამოდ გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

კარგად დაიწყეს ზემოქედელებმა მიმდინარე წელიც. დიდი გადაჭარბებით შესრულდა ხორცის, რძისა და კვერცხის წარმოების ნახევარი წლის გეგმა. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ხორბლის მიყიდვის გეგმა.

კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, შეიმუშავეს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი. გადაწყვეტილია მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის, მინერალური და ორგანული სასუქების ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე კიდევ უფრო აამაღლონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურა. მომავალ ხუთწლედში, მარცვლის მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე გაზარდონ 20 ცენტნერამდე, მზესუმზირისა — 14, ყურძნისა — 70 ცენტნერამდე.

პარტიამ და მთავრობამ, განახორციელეს დამატებითი დიდი ღონისძიებანი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის. შესასყიდი ფასების მომატება და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესების გაზრდა, რომ გაადიდონ ფერმების პროდუქციის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა, უდავოდ კარგ გავლენას მოახდენს მეცხოველეთა საქმეზე. ჩვენი ფერმების მუშაკებმა იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი, კერძოდ, გადაწყვიტეს თვითეულ ძროხაზე რძის ნაწველი გაზარდონ 2.600 კილოგრამამდე.

სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. ბ. ჯიოევმა აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულება ქმნის ხელშემწყობ პირობებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის მნიშვნელოვნად განმტკიცებისა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელება მჭიდროდ დაკავშირებულია სოფლად ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერებასთან, მშრომელთა გაზრდილი აქტივობის უნარიან წარმართვასთან, რომ შეასრულონ დასახული ამოცანები. სოფლის მეურნეობის ზრდის დიდ შესაძლებლობათა უფრო სრულად გამოყენებისათვის მიწათმოქმედნი და მეცხოველეები უნდა შევაიარაღოთ აგროტექნიკისა და ვეტერინარიის რაციონალურად გამოყენების ცოდნით. ავამაღლოთ წარმოების კულტურა. კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები ბეჯითად უნდა ეუფლებოდნენ შრომის პროგრესულ მეთოდებს. საჭიროა ფართოდ ვნერგავდეთ მეცნიერების მიღწევებს. ეს მით უფრო საჭიროა, რომ მთელ რიგ ჩვენს მეურნეობებში ცუდად იყენებენ მიწასა და ტექნიკას და ამიტომ დაბალია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი. ჩამორჩება მეცხოველეობა. ადგილი აქვს პირუტყვის გაწყდომას და სიბერწეს. ირღვევა საკვების დამზადების ტექნოლოგია, რაც მკვეთრად ამცირებს მის სინოყიერეს. ბევრი რამ არის გასაკეთებელი მეცხოველეობის პროდუქტიულობის, განსაკუთრებით რძის ნაწველის გასადიდებლად. ოლქის ბევრი მეურნეობა უგულისყუროდ ეკიდება პირუტყვის სუქებას და სახელმწიფოს აბარებს დაბალი ნაკვებობის პირუტყვს. ყოველ ღონეს ვხმარობთ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ვახორციელებთ ღონისძიებებს, რათა მინიმუმამდე შევამციროთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის საკვების დეფიციტი საკუთარი წარმოების ხარჯზე, წარმოებს მუშაობა პირუტყვის სუქებისა და სამოვრული სუქების გაუმჯობესებისათვის.

პარტიის ყვარლის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. ი. ზაუტაშვილმა თქვა, რომ ოთხ წელიწადში რაიონში წარმოებულია მნიშვნელოვნად მეტი ყურძენი, ხილი, ბაღჩეული, ხორცი, რძე და კვერცხი, ვიდრე წინა ხუთწლედის შესაბამის პერიოდში. ხორბლის მოსავლიანობამ საშუალოდ ჰექტარზე გადააჭარბა 20 ცენტნერს, სიმინდისამ — 27 ცენტნერს, ეთერზეთოვანი კულტურებისამ — 96 ცენტნერს. წინა ხუთწლედთან შედარებით რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. მთელ რიგ დარგებში შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

დიდი შრომითი აქტივობის ვითარებაში დაიწყო ხუთწლედის დამამთავრებელი წელიც. რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა ხორბლის წარმოების გეგმა, რომლის მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე 21 ცენტნერი იყო. მაგრამ არსებულ რეზერვებს მთლიანად როდი ვიყენებთ, მით უმეტეს, რომ ცალკეული მეურნეობები მცირე მოსავალს იღებენ.

მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მაღალია მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულება. მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად სრულდება სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის დავალებანი, ჩვენს რაიონში მეცხოველეობა რენტაბელური არ არის. მეცხოველეობის აღმავლობას აფერხებდა ფერმების სუსტი ტექნიკური აღჭურვა, აგრეთვე, რაც მთავარია, არ გვქონდა საკმარისი საკვები ბაზა. უფრო რაციონალურად უნდა ვიყენებდეთ სავარგულებს, უკეთ მოვკიდოთ ხელი ყველა სახეობის საკვების დამზადების ტექნოლოგიის შესწავლას, ავამოქმედოთ უხეში, წვნიანი და კონცენტრირებული საკვების წარმოების ყველა რეზერვი.

სოფლის მეურნეობის განვითარება ყველას საქმეა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მიერ დასახული სამუშაოთა პროგრამა აჭარბებს ყოველივეს, რაც გაკეთებულა სოფლის მეურნეობის დარგში. „ყველა ჩვენ მიერ დასახული ღონისძიება, — თქვა თავის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ხელს შეუწყობს საკოლმეურნეო წყობილებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომ განმტკიცებას. ამ ღონისძიებებს პრინციპული მნიშვნელობა ექნებათ მუშებისა და გლეხების კავშირის განმტკიცებისათვის, ხელს შეუწყობენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეს".

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა მოიწონა მთელი რიგი სამინისტროების ინიციატივა, რომლებმაც გადაწყვიტეს თავიანთ საწარმოებში გაზარდონ ტექნიკის, სათადარიგო ნაწილებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა წარმოება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის. ამ დიდ და სასარგებლო საქმეს ფართოდ გამოეხმაურა ჩვენი რესპუბლიკაც. ქალაქების საწარმოთა კოლექტივები შეფობენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. რესპუბლიკის მშრომელები ფართოდ გამოეხმაურნენ მოსკოვის მოწინავე კოლექტივების პატრიოტულ ინიციატივას ღირსეული საქმეებით შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობას. რესპუბლიკის საწარმოების, ტრანსპორტის, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობა დამოკიდებულია მისი ტექნიკური აღჭურვილობის ამაღლებაზე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მანქანებისა და მექანიზმების წარმოების ტემპის დაჩქარებას. ეს ახალ მოთხოვნებს უყენებს სოციალისტური ინდუსტრიის მშრომელებს. პარტიის ზრუნვა მშრომელი მასების უდიდეს შრომითს აღმავლობას იწვევს. ამ აღმავლობაზე, მუშათა იმ მისწრაფებაზე, რომ ყველაზე აქტიური და საქმიანი მონაწილეობა მიიღონ სოფლის მეურნეობის განვითარებაში, ილაპარაკა პლენუმზე თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორმა ი. რ. ხუბედელიანმა.

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანამ რამდენიმე წლის მანძილზე ბევრი რამ გააკეთა სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვისათვის.

ჩვენი ქარხნის საამქროებში, თქვა მან, შეიმუშავეს და დაამზადეს ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველოს" დეტალები, აგრეთვე მთელი რიგი დეტალები სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისათვის.

ამ ბოლო წლებში საწარმომ რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას გადასცა 36 ლითონსაჭრელი ჩარხი და დანადგარი. მარტო სასწავლო-კვლევით ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტისათვის ქარხანამ დაამზადა 200 ათასი მანეთის ვიტრაჟები და სხვა მოწყობილობა. ჩაის ფაბრიკებისათვის დავამზადეთ სპეციალური მანქანები ნედლეულის გადასამუშავებლად.

ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის დავალების გადამეტებით დაამზადოს ავტომატური ბატარეები მოქცეულებისათვის და საკუთარი ძალებით აამუშაოს ისინი მეფრინველეობის ფერმებსა და ფაბრიკებში. საწარმომ იკისრა სართიჭალის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის შეფობა. ამ მიზნით საწარმოს დირექციისა და პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენლები ჩავიდნენ საბჭოთა მეურნეობაში, შეხვდნენ მის ხელმძღვანელებს და ერთად იმსჯელეს, თუ რა დახმარება შეუძლია გაუწიოს საბჭოთა მეურნეობას ქარხანამ. საწარმოს კოლექტივმა გადაწყვიტა საბჭოთა მეურნეობას დაეხმაროს მეცხოველეობის ფერმისა და მექანიკური სახელოსნოს ტექნიკურ აღჭურვაში, დაამზადოს სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის სათადარიგო ნაწილები, მექანიკურ სახელოსნოს გადასცეს სახარატო და სალარავი ჩარხები, საზეინკლო მანქანები და მექანიზმები.

გარდა ამისა, ქარხანა საბჭოთა მეურნეობას მოუმზადებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, — ზეინკლებს, ხარატებს, მღარავებს, ელექტრიკოსებს, მექანიზატორებს.

პარტიის გორის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. ა. ბზიშვილმა აღნიშნა გორის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელთა წარმატებანი და ამასთან ერთად თქვა, რომ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში არის ნაკლოვანებანი. პარტიის რაიკომმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა და სამეურნეო ორგანოებმა შეიმუშავეს მთელი რიგი ღონისძიებანი, რათა რენტაბელური გახადონ ყველა კოლმეურნეობა. ამ მიზნით გადაწყვეტილია რაიონში ავაშენოთ მებოსტნეობის სათბური მეურნეობა. წინასწარი გაანგარიშება ცხადყოფს, რომ ეს ჩამორჩენილი კოლმეურნეობები დამატებით მიიღებენ 600-700 ათას მანეთ მოგებას.

ამხ. ბზიშვილმა ილაპარაკა საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციათა შექმნის გამოცდილებაზე, რომლებმაც გაამართლეს თავიანთი დანიშნულება და რენტაბელურად მუშაობენ. მიმდინარე წელს საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებისაგან კოლმეურნეობები მიიღებენ დაახლოებით 500-600 ათას მანეთ წმინდა მოგებას, ხოლო უახლოეს ორ წელიწადში ეს თანხა მილიონნახევარ მანეთამდე გაიზრდება. საჭიროა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ პრაქტიკული დახმარება გაუწიოს საკოლმეურნეობათაშორისო მეურნეობებს.

ორატორმა კმაყოფილებით აღნიშნა ის ფასდაუდებელი დახმარება, რომელსაც თბილისის საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივები უწევენ სოფლის მშრომელებს საკოლმეურნეობათაშორისო მეურნეობების შექმნაში.

გამოვიყენოთ წარმოების ყველა რეზერვი

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა გულმოდგინე და საქმიანი მუშაობა სოფლად სოციალისტური შეჯიბრების გასაშლელად რეზერვებისა და შესაძლებლობების უკეთ და უფრო სრულად გამოყენებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. ამ მიზნით უნდა გამოვიყენოთ იდეურ-აღმზრდელობითი და ორგანიზაციული მუშაობის ყველა საშუალება. ამის შესახებ ილაპარაკა პარტიის ხაშურის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. ა. ნოზაძემ.

მარცვლეულის წარმოება, აღნიშნა მან, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე ითქვა, ძირითადი პრობლემაა. საჭიროა ყოველი ღონისძიებით გავადიდოთ მარცვლეულის მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ჩვენში დაბალია მარცვლეულის მოსავლიანობა. საკმაოდ არა გვაქვს სარწყავი ფართობები, რაც ხელს უშლის თავთავიანი კულტურებისა და სიმინდის წარმოების გადიდებას. ამიტომ რაიონის მეურნეობებს დიდად დაეხმარება ახალი სარწყავი სისტემების მშენებლობა.

რაიონში გაიშალა შეჯიბრება ყველა კულტურის მოსავლიანობის ამაღლებისა და პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შემუშავებულია მიწათმოქმედების კულტურის, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების, ყველაზე მოსავლიანი ჯიშების დანერგვის, თესლბრუნვის ათვისების ეფექტიანი ღონისძიებანი. მოქმედებაში მოგვყავს წარმოების რეზერვები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა საერთო წარმატებებში, თქვა პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ე. ჩითანავამ, ჩვენი რაიონის მშრომელებსაც მიუძღვით წვლილი. მნიშვნელოვანი შედეგები მოვიპოვეთ მიმდინარე წელს. აქ პირველი სიტყვა თქვეს მეჩაიეებმა, რომლებმაც დღეისათვის მოკრიფეს 27.748 ტონა ნედლეული, ანუ წლიური გეგმის 84,4 პროცენტი. მოკრეფილი ფოთლის 71 პროცენტი პირველი ხარისხისაა. განხორციელდა სერიოზული ღონისძიებანი კოლმეურნეობათა შემდგომი ეკონომიური და ორგანიზაციული განმტკიცებისათვის. ამ საქმეში დაგვეხმარა სახალხო მეურნეობაში რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილის განხილვა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიმდინარეობს დიდი მუშაობა რეზერვების უკეთ გამოყენებისათვის. შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და არასაწარმოო ხარჯების შემცირებისათვის.

მტკიცდება შრომის დისციპლინა, კოლმეურნეები სულ უფრო მეტად მონაწილეობენ წარმოებაში. პარტიის რაიკომი პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად მუშაობს სუსტი კოლმეურნეობების ეკონომიკის განმტკიცებისათვის. ამ მეურნეობების ხელმძღვანელებად კოლმეურნეებს ვურჩევთ სპეციალისტები, რომლებსაც სოფლის მეურნეობაში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ.

ვანის რაიონის სავარგულები დიდი ნაყოფიერებით არ გამოირჩევა. ძირითადად ისინი განლაგებულია ციცაბო ფერდობებზე. მაგრამ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები დაეხმარნენ მეურნეობებს სწორად წარემართათ კოლმეურნეთა შრომა, რაციონალურად გამოეყენებინათ მიწა და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში. რაიონში არის მეურნეობები, რომლებსაც საშუალოდ ჰექტარზე მოჰყავთ 35-45 ცენტნერი სიმინდი მარცვლად. მაგრამ ისეთებიც არიან, რომლებიც 5-10 ცენტნერზე მეტს ვერ იღებენ. ამ ჩამორჩენას ვძლევთ სავარგულების სწორი გამოყენების, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების გზით. ამ ღონისძიებათა შედეგად კოლმეურნეობათა ეკონომიკა მნიშვნელოვნად განმტკიცდა.

ყოველივე ეს პლენუმზე თქვა პარტიის ვანის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. დ. ყიფიანმა. მან აღნიშნა, რომ საჭიროა საირიგაციო მშენებლობის შემდგომი გაფართოება, ბრძოლა ნიადაგის ეროზიასთან.

რაიონში ბევრი რამ კეთდება მეცხოველეობის განვითარებისათვის. შეიქმნა მეცხოველეობის მსხვილი სარძეო-სასაქონლო ფერმები. შარშან საშუალოდ ერთ ძროხაზე ნაწველი 1964 წელთან შედარებით 734 კილოგრამით გაიზარდა, ხოლო რძის წარმოება — 157 პროცენტით. რეზერვების ამოქმედებით ვცდილობთ მივაღწიოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამაღლებას.

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმმა მიიღო დადგენილება სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

პლენუმმა ცხადყო საქართველოს პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების, მშრომელების მტკიცე გადაწყვეტილება ყოველი ღონე იხმარონ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ახალი წარმატებებით შეხვდნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს. (საქინფორმი).

რევაზ იაკობის-ძე ფრუიძე



საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ, რესპუბლიკის მშრომელებმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. 23 ივლისს უეცრად გარდაიცვალა თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **რევაზ იაკობის-ძე ფრუიძე.**

რ. ფრუიძის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ხალხისადმი, პარტიისადმი, კომუნიზმის მშენებლობის საქმისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითია.

რ. ფრუიძე დაიბადა 1923 წლის აპრილში ქ. თბილისში. 1940 წელს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა საქართველოს ს. კიროვის სახელობის ინდუსტრიულ ინსტიტუტში. 1941 წელს გაწვეულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში და 1942 წლის ოქტომბრიდან 1943 წლის თებერვლამდე, იყო რა ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის მეთაური, მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. დაჭრის შემდეგ დათხოვნილ იქნა თადარიგში და 1943 წლის მაისიდან 1946 წლის ნოემბრამდე მუშაობდა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში ტექნიკოსად. ამავე დროს განაგრძობდა სწავლას საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ 1953 წლამდე მუშაობდა ინჟინრად ავიატრანსპორტისა და მექანიზაციის დარგში სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საქართველოს სამმართველოში.

1947 წელს რ. ფრუიძე შევიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში.

1953 წლიდან რ. ფრუიძე პარტიულ სამუშაოზეა. იგი მუშაობდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად, სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგის მოადგილედ. 1961 წელს რ. ფრუიძე არჩეულ იქნა საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, ხოლო 1965 წლის აპრილში — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად და პრეზიდიუმის წევრად. 1970 წლის აპრილიდან რ. ფრუიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრია.

რ. ფრუიძე არაერთგზის იყო არჩეული თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, იყო სსრ კავშირის VI და VIII მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

სსრ კავშირის VIII მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე მიმდინარე წლის ივლისში რ. ფრუიძე არჩეულ იქნა ეროვნებათა საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საკითხთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის რ. ფრუიძე დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, აგრეთვე სსრ კავშირის მედლებით.

ყველგან, სადაც უნდა გაეგზავნა იგი პარტიას, რ. ფრუიძე მუშაობდა აქტიურად, მთელ თავის ძალებს, ენერგიას, ცოდნას, ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის ნიჭს ახმარდა დაკისრებული ამოცანების შესრულებას.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე რ. ფრუიძემ დიდი მუშაობა გასწია თბილისის საქალაქო მეურნეობის, კულტურისა და კეთილმოწყობის განვითარებისათვის. საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში მუშაობისას იგი, სხვა ამხანაგებთან ერთად, მტკიცედ იბრძოდა რესპუბლიკის მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის, მშენებლობისა და ტრანსპორტის განვითარებისათვის.

ჩვენს რიგებს გამოაკლდა შემოქმედებითი ძალებით აღსავსე კომუნისტი, ადამიანი, რომელსაც იცნობდნენ და რომელიც უყვარდათ როგორც საქმის მცოდნე, ინიციატივიანი, პრინციპული პარტიული ხელმძღვანელი.

პარტიისა და ხალხის ერთგული შვილის, მომხიბვლავი, თავმდაბალი და გულისხმიერი ადამიანის რევაზ იაკობის-ძე ფრუიძის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება საბჭოთა საქართველოს მშრომელთა გულში.

ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, პ. ა. როდიონოვი, შ. ი. ჭანუყვაძე, მ. ა. გოგიჩაიშვილი, ნ. შ. ცხაკაია, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, შ. ე. ბუხრაშვილი, ზ. გ. გელდიაშვილი, ზ. ა. კვაჭაძე, ს. კ. კურკოტკინი, ა. მ. ლაბახუა, მ. მ. ლელაშვილი, მ. ა. მეგრელიშვილი, ვ. მ. სირაძე, ფ. ლ. სტეპჩენკო, ე. გ. ლუდუშაური, ი. ა. შევარდნაძე, ე. მ. ჯაფარიძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის რ. ი. ფრუიძის დასაკრძალავად შექმნა მთავრობის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

გ. დ. ჯავახიშვილი (თავმჯდომარე), შ. ი. ჭანუყვაძე, შ. დ. კიკნაძე, შ. ე. ბუხრაშვილი, ე. გ. ლუდუშაური, ზ. ა. კვაჭაძე, მ. ა. მეგრელიშვილი, ვ. მ. სირაძე, ი. ა. შევარდნაძე.

რ. ი. ფრუიძის დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 25 ივლისს, საღამოს 8 საათზე, განსვენებულის ბინაში (ათარბეგოვის ქუჩა, 33).

26 ივლისს რ. ი. ფრუიძის ცხედარს დაასვენებენ საქართველოს სსრ მთავრობის სახლში.

განსვენებულთან გამოთხოვება დღის 2 საათიდან 4 საათამდე. სამოქალაქო პანაშვიდი დღის 4 საათზე.

რ. ი. ფრუიძის გამოსვენება 26 ივლისს 5 საათზე. დაკრძალვა საბურთალოს სასაფლაოზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივ კომისიაში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსის მოადგილის დეპუტატ ი. ქარუმიძის მოხსენება: „მგზავრთა მომსახურების მდგომარეობა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილებაში".

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მგზავრთა მომსახურება ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილებაში, დროულად ტარდება ვაგზლების, სადგურების, ასაქცევი ბაქნების, პავილიონებისა და სხვა ობიექტების კაპიტალური შეკეთება.

ამასთანავე აღინიშნა, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილებას მიერ მგზავრთა მომსახურებაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები.

ზოგ შემთხვევებში არ სრულდება სამგზავრო მატარებლების გრაფიკი.

ზოგიერთ ადგილობრივ და საგარეუბნო მატარებელში მგზავრთა მომსახურება დაბალ დონეზეა, სამგზავრო ვაგონები ზოგჯერ დაუსუფთავებელია, არ მარაგდება ხარისხიანი თეთრეულით, ჯერ კიდევ არაა აღკვეთილი მგზავრების უბილეთოდ წაყვანის ფაქტები, საერთო სარგებლობის ვაგონები ხშირად გადატვირთულია მგზავრებით.

ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს ვაგზლების მოედნების და მისასვლელი გზების კეთილმოწყობას, ნაკლოვანებებია ზოგიერთ რკინიგზის სადგურებსა და დასახლებული პუნქტების დამაკავშირებელი ტრანსპორტის მუშაობაში. კავშირგაბმულობის ორგანოებს ცუდად აქვთ მოწყობილი მომსახურება საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, ბორჯომის და ზოგ სხვა სადგურებში.

ზოგიერთი სადგურის ბუფეტში (საგარეჯო, ქარელი, მარელისი, ხარაგაული, გურჯაანი, თელავი და სხვა) გამეფებულია ანტისანიტარია, დაბალია კვების პროდუქტების ხარისხი და ასორტიმენტი.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები ვ. ნიჟარაძე, ვ. ნანეიშვილი, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი ძ. ქავთარაძე, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების უფროსი ლ. ვარდოსანიძე და სხვ.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა ნ. ზერიძემ.

განხილული საკითხის გამო მუდმივმა კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება. (საქინფორმი).

ძებნა გრძელდება

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 18 ივლისს ჩრდილოეთ ატლანტიკის რაიონში დაიკარგა კავშირი „ან-22" თვითმფრინავთან, საბორტო ნომერი 09303, რომელიც კეფლავიკის (ისლანდია) აეროდრომიდან გაფრინდა პერუში. თვითმფრინავს მიჰქონდა სამედიცინო მოწყობილობა მიწისძვრის გამო დაზარალებული მოსახლეობისათვის.

„ან-22" თვითმფრინავის საძიებლად გაიგზავნა სპეციალურად გამოყოფილი საბჭოთა თვითმფრინავების ჯგუფი, რომელიც ამჟამად განაგრძობს იმ რაიონის გამოკვლევას, სადაც, ვარაუდით, დაიკარგა თვითმფრინავი. გრენლანდიის სამხრეთ კიდის რაიონში გაიგზავნა ახლომახლო მყოფი საბჭოთა თევზსაჭერი ფლოტის გემები, რომლებიც აგრეთვე მონაწილეობენ „ან-22" თვითმფრინავის ძებნაში.

ყველა ქვეყნის მთავრობებისადმი საბჭოთა მთავრობის მიმართვის პასუხად საბჭოთა თვითმფრინავის ძებნა დაიწყეს კანადის, ამერიკის, დანიისა და ნორვეგიის გემებმა და ავიაციამ.

ძებნა გრძელდება. (საქინფორმი).

იზრდება იტალიის კომპარტიის რიგები

რომი, 23 ივლისი. (საქინფორმი). როგორც გაზეთი „უნიტა" იუწყება, 20 ივლისისათვის იტალიის კომუნისტური პარტიის 1.458.358 წევრმა უკვე მიიღო 1970 წლის პარტიული ბილეთები.

მსოფლიო დღეს

მუშათა დახვრეტა გრენადაში

ლონდონი, 24 ივლისი. (საქინფორმი). ესპანეთის ქალაქ გრენადაში პოლიციამ ცეცხლი დაუშინა მშენებელ მუშათა დემონსტრაციის მონაწილეებს. 14 დემონსტრანტი დაიჭრა, სამი მათგანი მალე გარდაიცვალა. დემონსტრანტების ამ მხეცური დახვრეტის შესახებ, რაც 23 ივლისს მოხდა, იუწყება გაზეთ „გარდიანის" მადრიდელი კორესპონდენტი. კორესპონდენციიდან ჩანს, რომ ამბავი განვითარდა შემდეგნაირად. 2-3 ათასი მშენებელი გამოვიდა დემონსტრაციაზე გრენადაში. მათ წინააღმდეგ გამოიყვანეს პოლიციელები, რომლებმაც დააპატიმრეს რამდენიმე დემონსტრანტი. დემონსტრანტებმა პოლიციელებს ქვა დაუშინეს. პოლიციამ სროლა ატეხა. მეორე დილით სამი მოკლული მუშა მალულად დაასაფლავეს ქალაქის სასაფლაოზე, რადგან ეშინოდათ ახალი მღელვარებისა.

როგორც კორესპონდენტი იუწყება, მდგომარეობა გრენადაში დაძაბულია, მრავალი პოლიციელი პატრულობს მთავარ ქუჩებსა და ქალაქის მუშათა რაიონს. ასამდე კაცმა, მათ შორის მუშების ცოლებმა, დემონსტრაციის დახვრეტის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად დაიკავა ქალაქის ტაძარი.

მშენებელ მუშათა გაფიცვა სამხრეთ ესპანეთში გრძელდება. მშენებლები მოითხოვენ სამუშაო კვირის შემცირებას და სამართლიან ხელფასს. კორესპონდენტის სიტყვით, ბევრი მათგანი არ სჯერდება ამ მოთხოვნებს, არამედ ცდილობს მიაღწიოს იმას, რომ შექმნან ნამდვილი პროფკავშირები ახლანდელი სინდიკატების ნაცვლად.

პარიზი, 24 ივლისი. (საქინფორმი). საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ესპანეთის პოლიცია ქალაქ გრენადაში მხეცურად გაუსწორდა მშენებელ მუშებს, რომლებიც ხელფასის მომატებას მოითხოვდნენ.

წყალდიდობა ვენესუელაში

კარაკასი, 24 ივლისი. (საქინფორმი). 11 კაცი დაიღუპა, 80 უგზოუკვლოდ დაიკარგა, 5 ათასზე მეტი უსახლკაროდ დარჩა ვენესუელაში ძლიერი წყალდიდობის შედეგად.

წყალდიდობამ, რომელიც გამოიწვია რამდენიმე დღის განუწყვეტელმა კოკისპირულმა წვიმამ, მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა სასოფლო-სამეურნეო ნათესებს, დაარღვია კავშირგაბმულობა და სარკინიგზო მიმოსვლა მთელ რიგ რაიონებში. განსაკუთრებით დაზარალდა ბარსელონა — ანსოატეგის შტატის მთავარი ქალაქი. მისი ტერიტორიის 80 პროცენტი წყალმა დატბორა. შტატში გამოაცხადეს საგანგებო წესები.

კრიზისს ბოლო არ უჩანს

რომი, 24 ივლისი. საქინფორმის კორესპონდენტი ი. ლოპატინი გვატყობინებს:

ქრისტიანმა დემოკრატმა ჯ. ანდრეოტიმ, რომელსაც დაევალა შეექმნა იტალიის ახალი „მემარცხენე ცენტრისტული" მთავრობა, უარი თქვა ამ მისიაზე. ჯ. ანდრეოტის იმ დღეს მოლაპარაკება ჰქონდა „მემარცხენე ცენტრის" მთავრობის კოალიციაში შემავალი ოთხი პარტიის ლიდერებთან. იგი ცდილობდა ჩამოეყალიბებინა ახალი კაბინეტი წინანდელ საფუძველზე. მაგრამ მთელი მისი მეცადინეობა ამაო აღმოჩნდა „მემარცხენე ცენტრში" პარტნიორების მწვავე უთანხმოების გამო.

რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარია იუწყება, რომ პრეზიდენტი 25 ივლისს დაიწყებს პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეებთან კონსულტაციების მორიგ ტურს მთავრობის კრიზისის დასაძლევად.

ცვლილებანი მთავრობაში

ხართუმი, 23 ივლისი. (საქინფორმი). აქ გამოცხადდა სუდანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებანი.

სუდანის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ და პრემიერ-მინისტრმა ჯაფარ ნიმეირიმ დაიკავა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი. ბაბიკერ ავადალა, რომელსაც ადრე ეს პოსტი ეკავა, დაინიშნა პრემიერ-მინისტრის მოადგილედ და იუსტიციის მინისტრად. სუდანის მთავრობაში მოხდა სხვა ცვლილებანიც.

არათანასწორუფლებიანთა კავშირი

ვაშინგტონი, 24 ივლისი. (საქინფორმი). ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა გალო პლაზამ შეერთებულ შტატებს ბრალად დასდო, რომ მისი საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რომელსაც სულ უფრო მკაცრი პროტექციონისტური ხასიათი ენიჭება, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ლათინური ამერიკის ქვეყნების ვაჭრობასა და ეკონომიკას.

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ვაშინგტონის შტაბ-ბინაში გამოქვეყნებულ განცხადებაში გალო პლაზა განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პროტექციონისტები იცავენ რა საკუთარი ბიზნესის ინტერესებს, ცდილობენ კონგრესს მიაღებინონ მთელი რიგი კანონპროექტები, რომლებიც ითვალისწინებენ იმ საქონლისა და ნედლეულის იმპორტის შეზღუდვას, რომლებიც კონკურენციას უწევენ ამერიკულ წარმოების პროდუქციას.

იმ ქარცეცხლიან დღეთა გამოძახილი

ფორე მოსულიშვილი — იტალიის ეროვნული გმირი

რომი, 24 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი დ. სტეპანჩენკო გვატყობინებს:

გმირობისა და განსაკუთრებული თავდადებისათვის, რაც გამოიჩინა წინააღმდეგობის მოძრაობის პერიოდში ბრძოლების დროს, საბჭოთა მოქალაქე ფორე მოსულიშვილი იტალიის პრეზიდენტის ბრძანებულებით სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი — ოქროს მედლით „მხედრული მამაცობისათვის". საბჭოთა კავშირის გმირის რუსი მებრძოლის თევდორე პოლეტაევის შემდეგ ქართველი — ფორე მოსულიშვილი — მეორე საბჭოთა მოქალაქეა, რომელიც იტალიის ეროვნული გმირი გახდა.

ფორე ნიკოლოზის ძე მოსულიშვილი დაიბადა 1919 წელს საქართველოს სსრ სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი შევიდა ქალაქ სიღნაღის აგრონომიულ კურსებზე. 1939 წელს ოცი წლის ჭაბუკი გაიწვიეს წითელ არმიაში, სადაც გაიარა სავადო სამხედრო სამსახური.

დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, ფორე მოსულიშვილმა მონაწილეობა მიიღო ჩვენს სამშობლოზე გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა შემოსევის მოგერიებისათვის ბრძოლებში.

ერთ-ერთი ბრძოლის დროს ახალგაზრდა მეომარი ტყვედ ჩავარდა. სამხედრო ტყვეთა სხვადასხვა ბანაკებში ხანგრძლივი ყოფნის შემდეგ ყოფილ ქართველ საბჭოთა მეომართა ჯგუფთან ერთად იგი გადაზავნეს ბანაკში იტალიის ქალაქ ნოვარის (პიემონტის ოლქი) მახლობლად.

— ბევრი რამ ფორეს ბიოგრაფიიდან, როგორც იტალიელი პარტიზანები უწოდებენ ფორე მოსულიშვილს, ჯერჯერობით გამორკვეული არ არის, — თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაკმა მაურო გალენიმ. — ყოფილი პარტიზანები, რომლებთანაც ერთად იბრძოდა ჰიტლერელთა წინააღმდეგ მოსულიშვილი, გულმოდგინედ აგროვებენ ახალ მონაცემებს სახელოვანი საბჭოთა პატრიოტის იტალიაში ყოფნის შესახებ.

დანამდვილებით ცნობილია, რომ ფორე მოსულიშვილი საბჭოთა სამხედრო ტყვეთა ჯგუფთან ერთად, რომელშიც სამოცდაათი კაცი იყო, 1944 წლის სექტემბრის დამლევს გაიქცა ნოვარის ბანაკიდან. ჩვენმა მებრძოლებმა თან წაიღეს ბევრი იარაღი, ტყვია-წამალი, აღჭურვილობა და მალე შეუერთდნენ იტალიის პარტიზანთა ერთ-ერთ რაზმს, რომელიც მოქმედებდა ნოვარის პროვინციაში.

ზუსტად სამ თვეს — 1944 წლის სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბერში ფორე მოსულიშვილი მამაცურად იბრძოდა ოკუპანტთა წინააღმდეგ პიემონტისა და ლომბარდიის ოლქებში მოქმედი წინააღმდეგობის მებრძოლთა რიგებში. სამხედრო გამჭრიახობისა და პირადი მამაცობისათვის, რაც გამოიჩინა მრავალი საბრძოლო ოპერაციის დროს, ფორე მოსულიშვილი დაინიშნა ოცეულის მეთაურის თანაშემწედ, რომელიც შედიოდა „რემო სერვადეის" 181-ე ბრიგადის „პეპინოს" ბატალიონში.

1944 წლის დეკემბრის დამდეგს ჰიტლერელები ყოველნაირად შეეცადნენ ჩაეხშოთ პარტიზანული მოძრაობა პიემონტსა და ჩრდილოეთ იტალიის სხვა ოლქებში. ისინი აწყობდნენ ჩხრეკა-დაპატიმრებას, გზავნიდნენ მთებში დამსჯელ ექსპედიციებს. ოკუპანტები მძვინვარებდნენ ნოვარის პროვინციაშიც, სადაც მოქმედებდა „რემო სერვადეის" ბრიგადა.

ის სამახსოვრო ბრძოლა, როცა ფორე მოსულიშვილმა უკვდავება მოიპოვა, გაიმართა 1944 წლის 8 დეკემბერს დილაადრიან.

განთიადისას მტერმა მოულოდნელად დიდი ძალებით იერიში მიიტანა „რემო სერვადეის" ბრიგადის წინააღმდეგ. გაიმართა სასტიკი ბრძოლა. ბრიგადის მეთაურმა, მეტსახელად „არმანდომ", გასცა ბრძანება ძირითად ძალებს უკან დაეხიათ, რათა არ მოსვლოდათ დიდი ზარალი. და აქ, ოცეულს, რომელშიც ფორე მოსულიშვილი იბრძოდა, ალყა შემოარტყეს.

მებრძოლები დაიმალნენ ქვის ნაგებობაში დაბა ბელჯირანტეს მახლობლად, ქალაქ არონიდან 48 კილომეტრზე და ცეცხლს უშენდნენ გარშემორტყმულ ფაშისტებს. ხანგრძლივი ბრძოლის დროს ბევრი მებრძოლი დახოცეს ან დაჭრეს, გამოელიათ ტყვია-წამალი. ჰიტლერელებმა შეწყვიტეს ცეცხლი და ფაშისტმა ოფიცერმა ალყაშემორტყმულებს მოსთხოვა: „გამოვიდეს თქვენი მეთაური".

მაშინ ოცეულის მეთაურის თანაშემწე დაჭრილი ფორე მოსულიშვილი ძლივს წამოიწია და ნელა გამოვიდა ტყვიებით დაცხრილული ქვის შენობიდან. ფაშისტები გაეშურნენ ფორესაკენ, რათა ხელთ ეგდოთ იგი. მაგრამ ამ წამს იგი წელში გასწორდა და წამოიძახა: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, გაუმარჯოს თავისუფალ იტალიას!", და თავისი პისტოლეტის უკანასკნელი ტყვიით თავი მოიკლა.

ფორე მოსულიშვილის გმირობის ამბავის აღდგენა მოახერხეს ნოვარის პროვინციაში გამართული ბრძოლების მონაწილეთა მოგონებებისა და ზოგიერთი პუბლიკაციის მიხედვით.

ჯერ კიდევ 1945 წლის 10 აპრილს, — თქვა მაურო გალენიმ, იტალიაში მებრძოლ საბჭოთა პარტიზანების შესახებ წიგნის ავტორმა, — გარიბალდიელთა ბრიგადის „რემო სერვადეის" სარდლობამ ფორე მოსულიშვილი სიკვდილის შემდეგ წარადგინა იტალიის უმაღლეს ჯილდოზე. რამდენიმე თვის წინათ დეპუტატმა — კომუნისტმა ერალდო გასტონემ, რომელიც პირადად იცნობდა გმირ ფორე მოსულიშვილს, და საზოგადო მოღვაწემ ჩინო მოსკატელიმ კვლავ აღძრეს შუამდგომლობა დაჯილდოების შესახებ, რასაც მხარი დაუჭირეს ერთ-ერთმა მთავრობის კომისიამ და იტალიის თავდაცვის სამინისტრომ. შემდეგ ხელი მოაწერეს ბრძანებულებას ოქროს მედლით „მხედრული მამაცობისათვის" ფორე მოსულიშვილის დაჯილდოების შესახებ.

იტალიის ტერიტორიაზე ფაშისტური ტყვეობიდან გაქცეულმა თითქმის ხუთი ათასმა საბჭოთა მეომარმა მონაწილეობა მიიღო წინააღმდეგობის მოძრაობაში. ისინი იბრძოდნენ იტალიელი და საბჭოთა ხალხების თავისუფლებისათვის ნაცისტური ტირანიის წინააღმდეგ. 425 საბჭოთა პარტიზანი დაიღუპა ჰიტლერელთა წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლებში და ისინი დღესაც განისვენებენ იტალიის მიწაზე.

• • •

სურათზე: ფორე მოსულიშვილი.

ლაღი პიონერული ზაფხული

ბაზალეთის ტბასთან

ასე ისვენებენ ნორჩი დაღესტნელები

პიონერთა ბანაკი, რომელიც ბაზალეთის ტბის მახლობლად არის გაშლილი, მოუთმენლად ელოდა სტუმრებს დაღესტნიდან. წინადღეს რაზმების წევრებმა საგულდაგულოდ დააწკრიალეს თავიანთი კარმიდამო, წესრიგში მოიყვანეს საძინებელი ოთახები, სამზარეულო, ყველაფერი გაითვალისწინეს, რათა სასურველ მეგობრებს პირველი დღიდანვე დასვენებისა და გართობის საუკეთესო პირობები ჰქონოდათ. ყველა ღელავდა, დიდი და პატარა. ბანაკის უფროსმა ირაკლი ლოლაძემ რამდენჯერმე ტელეფონით დარეკა დუშეთში, დედაქალაქში, გამოირკვა, რომ დაღესტნელები დუშეთში ტყუილად არ შეჩერებულიყვნენ, ნამგზავრი ბავშვებისათვის მასპინძლებს ახალი პიონერული ფორმა, საცვლები და ფეხსაცმელები დაეხვედრებინათ, სტუმრებს თმა გაეკრიჭათ, ებანავათ. ამიტომაც ბანაკში მხოლოდ ნაშუადღევს მიაღწიეს. ჭიშკართან შეკრებილიყო პიონერთა ხუთივე რაზმი. ორმოცმა პიონერმა ორმოც სტუმარს ჩემოდნები და ხელჩანთები ჩამოართვა. გაისმა ბრძანება: — ბანაკი ხაზზე! ამას მოჰყვა მისალმება: — ჩვენს ძვირფას სტუმრებს პიონერული სალამი, სალამი, სალამი! მერე ბავშვები ერთმანეთში აირივნენ, დაღესტნელები მორცხვობდნენ. მაგრამ ამან მალე გაიარა, მათს სახეებზე პირველი ღიმილი გამოჩნდა.

ეს იყო 18 ივნისს, 5 საათზე. მას შემდეგ თვეზე მეტი გავიდა, მიწისძვრისაგან შეშინებული ბავშვები ფერზე მოსულან, შესჩვევიან ჩვენს მიწაწყალს, გამხიარულებულან, მღერიან, იცინიან, მალაყებს გადადიან. ერთად თამაშობენ ბათირ ზაიდოვი და დათო ბარბაქაძე, მარიამ მადაევა და მანანა ლოლაძე, რაიხანად გასანოვა და ხათუნა მჭედლიშვილი. ქართველი მეგობრები ჰყავთ მარჯანატ აჩიბაევას და თემურ ზაიდოვს, გაჯი მაგომედოვს და აიშატ იუსუპოვას, აბდულრაზაკ აბუბაკაროვს და ალჟანატ ბუდაიხანოვს. ბევრმა ისწავლა ქართული სიტყვები. რაც მთავარია, მათ გულში ჩაისახა მეგობრობის მაღალი გრძნობა, რომელიც არასოდეს არ წაიშლება.

დაღესტნელ ბავშვებს თავს დასტრიალებენ ბანაკის დირექტორი ირაკლი ლოლაძე, უფროსი პედაგოგი ნათელა მუხურაძე, ექიმი გურამ ქერაშვილი, ქართული მასპინძლობით აღტაცებულია მახაჩყალის პედაგოგიური ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი ამინატ ბუდაზანოვა, რომელიც დაღესტნელ ბავშვებს ჩამოჰყვა ბანაკში. იგი ღიმილით ამბობს: — არასოდეს არ დამავიწყდება ჩვენი მეგობრების ზრუნვა და ალერსი. ბავშვებს ხომ მოფერება უყვართ, მათთვის ალერსი ისევე აუცილებელია, როგორც მზის სხივები პატარა მცენარისათვის, მით უმეტეს იმ ბავშვებისათვის, რომლებსაც მშობლები შორს — დაღესტნის მთებში დარჩათ და რომლებმაც საშინელი მიწისძვრა გადაიტანეს. ჩვენი ბავშვები მალე შეეჩვივნენ ბაზალეთის მიდამოებს. გაივლის მრავალი წელი. ისინი დავაჟკაცდებიან, მაგრამ მათი გონებიდან არ წაიშლება საქართველო და ბანაკში ყოფნის ბედნიერი დღეები.

ამინატს გავახსენე გუნიბისა და დუშეთის რაიონების მშრომელთა ტრადიციული მეგობრობა, რომელიც თექვსმეტი წლის წინათ ჩაისახა, ორი მოძმე რესპუბლიკის ორი რაიონის სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ არის ცნობილი როგორც ჩვენში, ისე დაღესტანშიც. მიწისძვრის მეორე დღესვე დუშელებმა გუნიბის რაიონის მშრომელებს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც ღრმა სამძიმარს გამოთქვამდნენ სტიქიური უბედურების — მიწისძვრის გამო, რომელმაც დიდი მატერიალური და მორალური ზარალი მიაყენა გუნიბის და მთელი დაღესტნის მშრომელებს.

დუშელები სწერდნენ: ძვირფასო მეგობრებო! გთხოვთ გვაცნობოთ, რით შეგვიძლია გაგიწიოთ დახმარება, დიდი სიამოვნებით გავაკეთებთ ყველაფერს, რათა შეგიმსუბუქოთ მდგომარეობა.

ამ დღეებში დაღესტნიდან საპასუხო წერილი მოვიდა. პარტიის გუნიბის რაიკომის პირველი მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. იბრაჰიმოვი და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ინჩილოვი პარტიის დუშეთის რაიკომის პირველ მდივანს ა. შადურს და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს შ. მჭითურს სწერენ, რომ გუნიბის რაიონის ყველა მშრომელი გამოთქვამს გულწრფელ მადლობას ქართველი მეგობრების თანაგრძნობისა და მხარდაჭერისათვის, გულთბილი სიტყვებისათვის. ერთხელ კიდევ დასტურდება ხალხური სიბრძნე, რომ „ჭეშმარიტი მეგობრობა გაჭირვებაში განიჩინდება".

წერილში ნათქვამია: — ძვირფასო მეგობრებო! თქვენ და თქვენი სახით დუშეთის რაიონის მშრომელებს ვუგზავნით ძმურ სალამს და საუკეთესო სურვილებს რაიონის ეკონომიკისა და კულტურის ამაღლებაში, გისურვებთ ბედნიერებასა და ჯანმრთელობას, ერთხელ კიდევ დიდი მადლობა ძმური მხარდაჭერისათვის.

ამას წინათ დაღესტნის მთებიდან დუშეთში ბაზალეთის ტბის სანაპიროზე ბანაკში მოვიდნენ დახადაევის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შახბან ალიბეკის-ძე ჩუპანოვი და იმავე რაიონის სოფელ ირსეგის სკოლის პედაგოგი ჰასან აზიზოვი. სტუმრები საქართველოში იყვნენ სხვა საქმისათვის, მაგრამ გულმა არ მოუთმინათ და თანამემამულეთა ბავშვები უნახავი არ დატოვეს. მოეწონათ განსაკუთრებული მზრუნველობა და ყურადღება, რითაც გარემოსილი არიან ნორჩი დაღესტნელები ბაზალეთისა და საქართველოს სხვა პიონერულ ბანაკებში.

ამ წერილს რომ ვწერდი, გონებიდან არ მშორდებოდა დაღესტნის სახალხო პოეტის ლენინური პრემიის ლაურეატის რასულ გამზატოვის ლექსის სტრიქონები, რომელიც მან პოეტ-აკადემიკოსის ირაკლი აბაშიძის გოგონას უძღვნა:

თავს დამღეროდნენ ნანად
შენს სწორებს,
საქართველოში დედები მაშინ:
„ნანინა, შვილო, იძინე, თორემ
ლეკი მოვა და წაგიყვანს
მთაში".

დღეს ძველ კოშკებზე
მტრედები სხედან,
ხალხს გაუწოდა მარჯვენა
ხალხმა
ლეკის სახელით ქართველი
დედა
თავის მალხაზებს არ
აფრთხობს ახლა...

პატარა ლეკი სტუმრები ბედნიერად ატარებენ დღეებს და ღამეებს ბაზალეთის ტბის ნაპირას, ქართულ მიწაზე.

ა. თომაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ადგილობრივი მრეწველობის და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების პროფკავშირების ქვიშხეთის პიონერთა ბანაკში 250 ბავშვი ისვენებს. აქ მათთვის ყველა პირობაა შექმნილი დასვენებისათვის. სისტემატურად ეწყობა სპორტული შეჯიბრებები, ლაშქრობები, პიონერული კოცონი.

სურათზე: პიონერთა ერთი ჯგუფი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

რადიო

26 ივლისი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 08.30 — მსუბუქი მუსიკა, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთ „საქართველოს პიონერის" საკვირაო გამოშვება, 11.00 — „პიონერთა დაფიონი" (მოსკოვი), 11.45 — ვ. გოკიელი. კონცერტი ფლეიტისა და ორკესტრისათვის, 12.05 — მუსიკალური რადიოაფიშა, 12.30 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი", 14.00 — მოსწავლეთათვის. ციკლიდან „მოგზაურობა ცოდნის სამყაროში". რადიოდადგმა „ემელიანე პუგაჩოვი", 15.00 — „მეგობრობის კონცერტი". ტრანსლაცია ბაქოდან, 15.30 — ი. აბაშიძე. „პალესტინა, პალესტინა"... 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.15 — მუსიკა კინოფილმებიდან, 17.30 — საუბარი „საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტი", 17.45 — მღერის თ. მუშკუდიანი, 18.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 19.00 — რადიოკომპოზიცია „საზღვაო საზღვრების გუშაგნი" (მოსკოვი), 19.30 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — ციკლიდან შემოქმედებითი პორტრეტები" — აკაკი ვასაძე, 21.30 — საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სოლისტთა კონცერტი, 22.50 — მ. ბალანჩივაძე. რომანსები, 23.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 23.30 — ა. ოსტროვსკი, ა. პახმუტოვა. სიმღერები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

25 ივლისი

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — კინოპროგრამა, 11.30 — მხატვრული ფილმი „ბრილიანტის ხელი", 17.05 ახალი ამბები, 17.10 — კინონარკვევი, 17.20 — გადაცემა — მე-9 საერთაშორისო, 18.00 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა. ფეხბურთი საბჭოთა კავშირის თასზე — „დინამო" მოსკოვი — „დინამო" კიევი. ნახევარფინალი (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.46 — კინონარკვევი, 20.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის თასზე — „დინამო" თბილისი — „ნეფტჩი" ბაქო — ნახევარფინალი, 21.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.10 — „ვაჭრობის მუშაკის დღე".

კინო

25 ივლისი

ოქტომბერი — **განთავისუფლება** (I, II სერია); ამირანი, (საზამთრო და საზაფხულო), საქართველო (წითელი დარბაზი) — **ადამიანი ბინის ორდერით**; გაზაფხული, ნაკადული — **პრინცესა**; ფილარმონიის ბაღი, საქართველო (მწვანე დარბაზი), 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), კოლხიდა (საზამთრო), ვარძია, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), სპორტი — **ევროპელი პატარძალი**; საქართველო (საზაფხულო) — **მგლის კუნძული**; ისანი (საზამთრო), სპარტაკი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — **ქალიშვილთა შეთქმულება**; ისანი (საზაფხულო) — **გაზაფხულის წყლები**; 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — **გაუმარჯოს სიყვარულს** (I, II სერია): 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო), კოლხიდა (საზაფხულო), კოლმეურნე, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო), ოფიცერთა სახლი — **შავი ტიტა**; თანამგზავრი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), კომკავშირელი — **გრაფინია კოხელი** (I, II სერია); ბათუმი — **თეთრი მგლები**; პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო), ყაზბეგი (მეორე დარბაზი), თბილისი, ეკრანი — **სიყვარულის ასაკი**; ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — **ქუჩის მომწესრიგებელი**.

ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი

● კვირა, 26 ივლისი

09.30 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად ლექცია ზოგად ფიზიკაში, 10.30 — ბავშვებისათვის — „მხატვრული ფილმი „პედაგოგიური პოემა", 12.15 — „მუსიკალური კიოსკი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — დოკუმენტური ფილმი — „ჯადოსნური სხივი", 14.05 — ფინალური ასპარეზობა ფეხბურთში „ტყავის ბურთის" პრიზზე. მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.45 — „კინოაფიშა", 17.10 — სატელევიზიო ჟურნალი — „ჯანმრთელობა", — 18.55 — ჩვენი სტუმრები — მუსიკალური გადაცემა, 19.30 — „მოამბე" საინფორმაციო პროგრამა, 19.40 — „იდიდე მარად ჩემო სამშობლოვ" — საგარეჯოს რაიონი, 20.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მუსიკალური პროგრამა, 21.35 — „შვიდი დღე" — საერთაშორისო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.05 — გადაცემა — „ჩეხოვის ნაწარმოებები ეკრანზე", 22.45 — გადაცემა — „მღერის ნანი ბრეგვაძე".

● ორშაბათი, 27 ივლისი

18.05 ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — პოლონური სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სალამი, კაპიტანო!" (ქართულ ენაზე), 19.25 — „გასტროლების შემდეგ" (17 ივლისის გადაცემის გამეორება), 20.10 „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „გლობუსი", 21.30 — „დრო" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — ქართული მხატვრული ფილმი „არ დაიდარდო".

● სამშაბათი, 28 ივლისი

11.05 — ახალი ამბები, 11.15 — ქართული მხატვრული ფილმი „არ დაიდარდო", 12.45 — გადაცემა ბავშვებისათვის — „ცხოველთა სამყაროში" (გადმოცემა ლენინგრადიდან), 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — „ცეროდენას ეკრანი", 18.25 — განცხადებები, 18.30 — გადაცემა ბავშვებისათვის — „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები", 18.50 — კინონარკვევი, 19.00 — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში. გადაცემა ახალგაზრდობისათვის „წინ მექანიზაცია!", 19.25 — კონცერტი, 20.05 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — „ქალაქური პოეზიის საღამო", 21.30 — „დრო" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — მხატვრული ფილმი — „უგრიუმ მდინარე" (პირველი სერია).

● ოთხშაბათი, 29 ივლისი

11.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 12.00 — მხატვრული ფილმი „უგრიუმ მდინარე" (პირველი სერია), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — განცხადებები, 18.35 — გადაცემა ბავშვებისათვის — „თქვენზე ფიქრებში", 19.05 — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში" — „ქიმია სიუხვის სამსახურში", 19.25 — „მღერის მაყვალა ქასრაშვილი", 19.55 — კინონარკვევი, 20.05 — გადაცემა „ახალგაზრდული პანორამა", 20.35 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „კინოობიექტივი".

● ხუთშაბათი, 30 ივლისი

11.00 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 12.00 — მხატვრული ფილმი „შურისძიება" (პირველი და მეორე სერია), 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — განცხადებები, 18.10 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — 1. „ბუნების კარი"; 2. მოკლემეტრაჟიანი ფილმი „სურათები გამოფენიდან", 19.50 — „მუსიკის სამყაროში" — სატელევიზიო მიმოხილვა, 20.40 — სატელევიზიო ფელეტონი. „ჩემო კარის მეზობელო!", 21.00 — მხატვრული ფილმი „უგრიუმ მდინარე" (მეორე სერია), 22.15 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.40 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა — მიხეილ ულიანოვის შემოქმედებითი საღამო (გადმოცემა მოსკოვიდან).

● პარასკევი, 31 ივლისი

10.05 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 10.35 — კინოპროგრამა, 11.05 — მხატვრული ფილმი „უგრიუმ მდინარე" (მეორე სერია), 17.30 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი საცხენოსნო სპორტში (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — ახალი ამბები, 18.35 — ბავშვებისათვის — „ჩვენი სატელევიზიო კლუბი — „ნეპტუნი", 19.05 — „კანონიერების სადარაჯოზე", 19.30 — „ირმის ნახტომი" — სატელევიზიო პროგრამა, 20.15 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!", გაგრის რაიონი, 21.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მუსიკალური პროგრამა, 22.20 — მხატვრული ფილმი „უგრიუმ მდინარე" (მესამე სერია).

კომუნისტი სპორტი

დღეს ნახევარფინალებია

ერთ-ერთ პოპულარულ ასპარეზობას ფეხბურთში — სსრ კავშირის თასის გათამაშებას ფინიში აქვს. წელს იგი ოცდამეცხრეჯერ თამაშდება. დღეისათვის თასისათვის მებრძოლთა რიგებს მხოლოდ ორი წყვილი შემორჩა. ესენი არიან: „დინამო" (თბილისი) — „ნეფტჩი" (ბაქო) და „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი). სწორედ მათ ექნებათ დღეს ნახევარფინალური შეხვედრა თბილისსა და მოსკოვში. ამ მატჩებმა უნდა გამოავლინოს ფინალისტები. ფინალი კი მოსკოვში 8 აგვისტოს შედგება.

თბილისის დინამოელები ოთხჯერ იყვნენ ფინალისტები, მაგრამ ვერ იქნა და ვერ შეძლეს თასის მოპოვება. ბაქოელ ფეხბურთელთა შედეგები ამ მხრივ შედარებით მოკრძალებულია — ისინი ორჯერ იყვნენ ნახევარფინალში, მაგრამ თბილისელ ფეხბურთელებთან შეხვედრაში მათ ცუდი ბალანსი როდი აქვთ. 4 მატჩიდან 2 (1936 და 1937 წლებში) მოიგეს თბილისელებმა 3:2, 3:0, ხოლო 1944 და 1967 წლებში გაიმარჯვეს ბაქოელებმა 2:1, 2:1.

თასისათვის ბრძოლა, განსაკუთრებით მისი დასკვნითი ეტაპები ყოველთვის გამოირჩეოდა შეუპოვრობით, სიმწვავით. ამიტომ ბუნებრივია დღევანდელ შეხვედრებშიც უნდა მოველოდეთ მიმზიდველ პაექრობას.

საქართველოს ტელევიზია აწყობს ორივე მატჩის რეპორტაჟს. მოსკოვიდან დედაქალაქისა და კიევის „დინამოს" გუნდების შეხვედრას ვნახავთ 18 საათიდან, ხოლო თბილისის „დინამოსა" და ბაქოს „ნეფტჩის" მატჩს 20 საათიდან.

სსრ კავშირი — აშშ 200:173

გუშინ ლენინგრადში დამთავრდა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა ნაკრები გუნდების ტრადიციული მატჩი. ეს იყო მათი მეცხრე შეხვედრა. ამჯერად წარმატება საბჭოთა მძლეოსნებს ხვდათ. ქალებმა შეხვედრა მოიგეს 78:59, ვაჟებმა — 122:114. მატჩის საერთო ანგარიშია 200:173 საბჭოთა მძლეოსნების სასარგებლოდ. გამართული ცხრა შეხვედრიდან საბჭოთა ნაკრებმა მოიგო ექვსი მატჩი, ამერიკელებმა — სამი.

სავიცკაია — მსოფლიოს ჩემპიონი

ლონდონი, 23 ივლისი. (საკდესი). მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტმა სვეტლანა სავიცკაიამ მოიპოვა აბსოლუტური მსოფლიო ჩემპიონის წოდება უმაღლეს პილოტაჟში ინგლისის ქალაქ ჰალავინგტონში გამართულ შეჯიბრებაზე.

პირველობის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე — სვეტლანა სავიცკაია გულდაჯერებით გამოდიოდა ჩემპიონატის პირველი დღიდანვე და ლიდერობა არც ერთხელ არ დაუთმო ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გამოცდილ სპორტსმენებს. საბოლოოდ მან თავის სიცოცხლეში პირველი ოქროს მედალი მოიპოვა.

მეორე ადგილზე გამოვიდა აგრეთვე საბჭოთა სპორტსმენი მოსკოველი ზინაიდა ლიზუნოვა.

მატჩი მოსკოვში

გუშინ მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი შეხვედრა ფეხბურთში დედაქალაქის „სპარტაკისა" და ქუთაისის „ტორპედოს" გუნდებს შორის. პირველ ტაიმში მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ. მეორე ნახევრის ბოლო 17 წუთში კალინოვმა და ოსიანინმა ორჯერ აიღეს მეტოქის კარი. გაიმარჯვა „სპარტაკმა" 2:0. დუბლიორთა მატჩშიც ასეთივე ანგარიშით წარმატება სპარტაკელებს ხვდათ.

„ბ" კლასის მეორე ზონაში

გაიმართა „ბ" კლასის მეორე ზონის პირველი ქვეჯგუფის გუნდების მატჩები ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. აი მათი შედეგები:

„ალაზანი" (გურჯაანი) — „დინამო" (სოხუმი) 1:1, „პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 3:0, „ორბიტა" (ბელაია კალიტვა) — „მეშახტე" (ტყიბული) 0:0, „მეტალურგი" (კრასნი სულინი) — „სულორი" (ვანი) 1:0, „სპარტაკი" (რიაზანი) — „მერცხალი" (მახარაძე) 1:1, „სპარტაკი" (ტამბოვი) — „კოლხიდა" (ფოთი) 0:1, „სპარტაკი" (სარანსკი) — „გურია" (ლანჩხუთი) 2:0.

ათ-ათი ქულით...

უნგრეთის ქალაქ დებრეცენში დამთავრდა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ვაჟთათვის. ფინიშთან ძირითადი ბრძოლა მიმდინარეობდა უნგრელ გროსმაისტერ იშტვან ბილეკსა და საბჭოთა საერთაშორისო ოსტატ ვლადიმერ სავონს შორის. მოხდა ისე, რომ მათ ათ-ათი ქულა შეაგროვეს 13-დან, მაგრამ პირველობა ი. ბილეკს მიანიჭეს, რადგან მას მეტი მოგება (6) აღმოაჩნდა, ვიდრე ვ. სავონს (5).

გარდა ვ. სავონისა, ტურნირზე კიდევ ორი საბჭოთა მოჭადრაკე გამოდიოდა. ესენი იყვნენ გროსმაისტერები ედუარდ გუფელდი და ალექსანდრე ზაიცევი. პირველმა 9 ქულით მეოთხე ადგილი დაიკავა, ხოლო მეორემ 8,5 ქულით — მეხუთე ადგილი.

ასპარეზობათა პანორამა

● **ლიპეცკში** დაიწყო შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე გოგონათა შორის. წარმატებით აიღეს სტარტი გ. შაფროვამ და ვ. პეშკოვამ. სავალდებულო პროგრამის ორი ვარჯიშის შემდეგ ისინი ლიდერები არიან. გ. შაფროვას 17,95 ქულა აქვს, ვ. პეშკოვას — 17,85 ქულა.

● **ბრიტანეთის** თანამეგობრობის მძლეოსანთა შეჯიბრებაზე, რომელიც ედინბურგში შედგა, წარმატებით გამოვიდა იამაიკელი მერილინ ნეუფილი. მან 400 მეტრი ქალთა შორის 51 წამში გაირბინა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

● **სოფიაში** გრძელდება საერთაშორისო შეჯიბრება ტყვიის სროლაში. ლიდერობას ინარჩუნებს რსფსრ-ის გუნდი. მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში (მვ-6) გაიმარჯვა ნოვოსიბირსკელმა ვ. ეგიშევმა — 1.153 ქულა. პისტოლეტის სროლაში პირველი იყო მოსკოველი გ. კოსიხი — 589 ქულა.

● **პარიზის** ოლიმპიურ სტადიონ „კოლომბოზე" გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება მძლეოსნობაში. 1.500 მეტრი ადგილობრივმა სპორტსმენმა ჟან ვადუმ გაირბინა 3 წუთსა და 34 წამში და ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა.

● **ორიოლში** დაიწყო პლანერისტთა საკავშირო ასპარეზობა, რომელიც სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობათა სპარტაკიადის პროგრამით არის გათვალისწინებული. ჩქაროსნულ ფრენაში 100 კილომეტრზე სამკუთხა მარშრუტით გაიმარჯვა და ოქროს მედალი მოიპოვა მოსკოველმა ი. კუზნეცოვმა. ჩვენი ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი კიევლი რუდენსკოვი მეორე ადგილით დაკმაყოფილდა.

ნაირ-ნაირი

□

ტაიგელი სტუმარი

სოფლის ცენტრში შემოვიდა ტაიგის მცხოვრები ლამაზი ხალებიანი დედალი ირემი. როცა ბოსლის კარი დაიკეტა, იგი ძროხებთან ერთად აღმოჩნდა. ირემმა იქ მშვიდად დაჰყო რამდენიმე საათი. შემდეგ კი რქებზე ბაწარი წამოაბეს, ფრთხილად ჩასვეს ავტომანქანის ძარაში და იქითკენ წაიყვანეს, საიდანაც მოვიდა...

ასეთი შემთხვევები, უსურის უღრან ტაიგაში, ხშირი არ არის. ბევრის მნახველი ადამიანები ამტკიცებენ, რომ ირმის გამოჩენა აიხსნება იმით, რომ იგი ძალზე ენდობა ადამიანს, რომელიც ახლა არ ემუქრება ლამაზი ცხოველის სიცოცხლეს. ხალებიან ირმებზე ნადირობა სასტიკად აკრძალულია.

სოფელი ლაზო,
ზღვისპირეთის მხარე.

უჩვეულო მოგზაურები

ავტომანქანის ძარაში თანაბარ რიგებადაა ჩამწკრივებული ფანერის კასრები, რომლებზეც წვრილბადიანი ფანჯრებია. ამ კასრებში უჩვეულო მოგზაურები არიან — წითური ჭიანჭველები. ისინი მიჰყავთ „კომფორტით": თვითეულ ოჯახს ცალკე კასრი უკავია. წითური ახალმოსახლეების მარშრუტები სხვადასხვაგვარია — ერთნი თავიანთი ტყიდან გადადიან მეზობელ ტყეში, სხვები — ოლქის ერთი კუთხიდან მეორეში. არიან „იღბლიანებიც", რომლებიც თვითმფრინავით მოგზაურობენ. ტერნოპოლის ჭიანჭველებს „შეხვდებით" ხერსონის, ნიკოლაევის, ოდესისა და უკრაინის ბევრ სხვა ოლქში.

ტერნოპოლის ტყეებში წითურ ჭიანჭველებს იყენებენ როგორც მავნებლებისაგან ბიოლოგიურ დამცველებს. ერთი წლის განმავლობაში ჭიანჭველის ერთი ოჯახი სპობს ხუთ მილიონამდე ხოჭოს. ჭიანჭველები განსაკუთრებით შეუბრალებლად უსწორდებიან მუხის ფოთლიხვევიას — მუხის ახალგაზრდა ტყეების საშიშ მავნებლებს.

სატყეოთა მუშაკებმა უკვე 40 ათასზე მეტი ჭიანჭველის ოჯახი დააბინავეს. ახლა ისინი ამზადებენ დიდ პარტიას დნეპროპეტროვსკსა და ჟდანოვსკში გასაგზავნად.

ტერნოპოლი.
(საკდესის კორ.).

ქრონიკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამხ. ბ. ი. სტუკალინი დანიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის თავმჯდომარედ და ამ მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ნ. ა. მიხაილოვი პენსიაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი და საქართველოს მეცნიერულ-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი კინორეჟისორი საქართველოს სახალხო არტისტი

ირაკლი ისაკის-ძე კანდელაკი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი
თბილისი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-98-08, 99-08-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოს — 99-68-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-84, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-72-24, ილუსტრაციის — 93-28-54.
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443
უე 08250
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.